

საპარლამენტო ბენეფიციური კომიტიანი საქართველოში:

2020 და 2021 წლების აჩვენებების გამოცდისგან

თბილისი

2022

**სავალდებულო გენდერული კვოტა საქართველოში:
2020 და 2021 წლების არჩევნების გამოცდილება**

კვლევის ავტორები:

ნიმა პავდიაშვიდი, სადომე მუხუჩაძე

თბილისი, 2022



კვლევა ჩატარდა ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტის (NDI) პროგრამის ფაჩვებში, „ანგარიშვადებული და ინკლუზიური პოლიტიკური გადაწყვეტილებების ხელშეწყობა საქართველოში“, დიდი ბრიტანეთისა და ჩხვიდრეთ იხდანიის გაერთიანებული სამეფოს მთავრობის საგარეო, თანამეგობრობისა და განვითარების ოფისის კახი მმართველობის ფონდის ფინანსური მხარდაჭევით.

კვლევა ასევე მომზადდა გაეხოს განვითარების პროგრამისა (UNDP) და შვედეთის მხარდაჭევით, გენდერული თანასწორობისთვის გაეხოს ეთობრვი პროგრამის ფაჩვებში.

დოკუმენტში გამოთქმული მოსაზრებები ეკუთვნით ავტორებს და შესაძლოა, ახ ასახავდეს ზემოთ ჩამოთვრილი ორგანიზაციების ოფიციალური პოლიტიკას ან შეხედულებებს.

კვლევის ავტორები: იხმა პავლიაშვიდი, სადომე მუხუხაძე

სარჩევი

| | |
|--|-----------|
| შემაჯამებელი მიმოხილვა..... | 4 |
| შესავალი..... | 6 |
| კვლევის მეთოდოლოგია..... | 8 |
| I. კვლევის ძირითადი მიგნებები და რეკომენდაციები | 9 |
| ძირითადი მიგნებები: გენდერული თანასწორობის პოლიტიკა | 9 |
| ძირითადი მიგნებები: სავალდებულო გენდერული კვოტა და წამახალისებელი ფინანსური მექანიზმი..... | 9 |
| ძირითადი მიგნებები: შიდაპარტიული გენდერული პოლიტიკა..... | 10 |
| ძირითადი მიგნებები: ქალი კანდიდატები/პოლიტიკოსები | 10 |
| ძირითადი მიგნებები: არჩევნების შემდეგი პერიოდი | 10 |
| ძირითადი რეკომენდაციები: შიდაპარტიული გენდერული პოლიტიკა | 11 |
| ძირითადი რეკომენდაციები: სავალდებულო გენდერული კვოტა..... | 11 |
| ძირითადი რეკომენდაციები: ინსტიტუციური მექანიზმები და საკანონმდებლო საქმიანობა ... | 12 |
| II. საკანონმდებლო ჩარჩოს ანალიზი | 13 |
| 2.1. საერთაშორისო სტანდარტები | 13 |
| 2.2. ეროვნული კანონმდებლობა | 16 |
| 2.3. სასამართლო გადაწყვეტილებები..... | 18 |
| 2.4. საერთაშორისო სადამკვირვებლო მისიების შეფასებები და რეკომენდაციები პოლიტიკაში ქალთა მონაწილეობის თვალსაზრისით..... | 20 |
| 2.5. სახელმწიფო ინსტიტუციური მექანიზმები | 21 |
| III. საერთაშორისო სტანდარტები და კარგი პრაქტიკა | 24 |
| 3.1. საერთაშორისო სტანდარტები: ახალი მიზანი (50/50)..... | 24 |
| 3.2. საერთაშორისო კარგი პრაქტიკა..... | 26 |
| IV. სავალდებულო გენდერული კვოტის გავლენა და შედეგები საქართველოში..... | 29 |
| 4.1. სავალდებულო გენდერული კვოტის მიღება საქართველოში..... | 29 |
| 4.2. შიდაპარტიული გენდერული პოლიტიკა..... | 31 |
| 4.3. სავალდებულო გენდერული კვოტა..... | 32 |
| 4.4. წინასაარჩევნო პერიოდი, კანდიდატთა დასახელება და სიების ფორმირება | 33 |
| 4.5. ქალი კანდიდატები/პოლიტიკოსები..... | 34 |
| 4.6. არჩევნების შემდეგი პერიოდი..... | 35 |
| შეჯამება | 36 |

მოკლე მიმოხილვა

კვლევა - „სავალდებულო გენდერული კვოტა საქართველოში: 2020 და 2021 წლების არჩევნების გამოცდილება“ - მიზნად ისახავს საქართველოში სავალდებულო გენდერული კვოტის მექანიზმისა და მისი პრაქტიკაში აღსრულების შესწავლას 2020 წლის საპარლამენტო და 2021 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების მაგალითზე.

პოლიტიკაში ქალთა მონაწილეობის გასაძლიერებლად, მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადაიდგა საქართველოში. თუმცა, საკანონმდებლო ჩარჩოს, საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკისა და კვლევის თვისობრივი მონაცემების ანალიზი ცხადყოფს, რომ ამ მიმართულებით პროგრესის შესანარჩუნებლად და ქვეყანაში არსებითი გენდერული თანასწორობის მისაღწევად, დამატებითი ძალისხმევაა საჭირო. კერძოდ, მნიშვნელოვანია არსებული საკანონმდებლო ჩარჩოს დახვეწა, გენდერული თანასწორობის ეროვნული მექანიზმების გაძლიერება და ინსტიტუციურად ძლიერი პოლიტიკური პარტიების ჩამოყალიბება.

კვლევის ფარგლებში შეფასდა არჩევნებამდე არსებული მდგომარეობა, არჩევნების დღე და შემდგომი პერიოდი და ჩამოყალიბდა **ძირითადი მიგნებები და რეკომენდაციები**, რომლებიც სრულად წარმოდგენილია კვლევის პირველ თავში.

არსებითი ძირითადი მიგნებები:

- **გენდერული თანასწორობა, მათ შორის, პოლიტიკაში ქალთა როლის გაძლიერება საზოგადოების მოთხოვნაა.** საქართველოში ჩატარებული კვლევები ცხადყოფს საზოგადოების მხარდაჭერასა და მაღალ მოთხოვნას გენდერული თანასწორობის მისაღწევად. ამავსე ადასტურებს აღნიშნული კვლევაც.
- **პოლიტიკურ პარტიებში სავალდებულო გენდერული კვოტის მიმართ დამოკიდებულება, ზოგადად, დადებითია.** ამ მექანიზმის შემოღებამ ბევრი ახალი, კარგი და აქტიური ქალი გამოკვეთა, რომლებიც ადრე მხოლოდ პარტიულ საქმიანობას ეწეოდნენ.
- **გამოწვევად რჩება სავალდებულო გენდერული კვოტის მოქმედების ვადა.** მიუხედავად იმისა, რომ ეს დროებითი მექანიზმია, საერთაშორისო კარგი პრაქტიკის შესწავლამ აჩვენა, რომ ქვეყნებში, სადაც განსაზღვრულია სავალდებულო გენდერული კვოტა, კანონმდებლობა მის მოქმედებას არ ზღუდავს გარკვეული ვადით.
- **გამოწვევად რჩება სავალდებულო გენდერული კვოტის პროპორცია.** საქართველოს მოსახლეობის ნახევარზე მეტი ქალია¹, მაგრამ პარლამენტში ისინი მხოლოდ 19.1%-ით არიან წარმოდგენილნი.² მაშინ, როდესაც საერთაშორისო თანამეგობრობა პოლიტიკაში ქალთა 50%-იან წარმომადგენლობას ისახავს მიზნად, საქართველოს საარჩევნო კოდექსით განსაზღვრული **სავალდებულო გენდერული კვოტის პროპორცია არ კმარა არსებითი თანასწორობის მისაღწევად**, ასევე, საკანონმდებლო ორგანოში ქალთა თანაბარი წარმომადგენლობის ჯეროვნად ხელშეწყობისთვის.
- **ნამახალისებელი ფინანსური მექანიზმის არსებული მოდელი არაეფექტიანია და საჭიროებს გადახედვას.** 2020 წლის საქართველოს პარლამენტის არჩევნებისთვის მხოლოდ სამმა პოლიტიკურმა პარტიამ და ერთმა საარჩევნო ბლოკმა ისარგებლეს კანონში არსებული ფინანსური ნამახალისებელი მექანიზმით და უფრო მეტი ქალი კანდიდატი დაასახელეს, ვიდრე სავალდებულო გენდერული კვოტა მოითხოვდა. არსებული პრაქტიკის კვლევა ცხადყოფს, რომ ნამახალისებელი ფინანსური მექანიზმი საჭიროებს გადახედვასა და დახვეწას.
- **პოლიტიკურ პარტიებს არ აქვთ ან სუსტად აქვთ განერილი და დანერგილი შიდაპარტიული გენდერული პოლიტიკა.** გამოწვევად რჩება მდგრადი პოლიტიკური პარტიები, ძლიერი შიდა დემოკრატიით, რომლებსაც გააზრებული აქვთ პოლიტიკაში ქალთა მონაწილეობის მნიშვნელობა, ადამიანის უფლებები, გენდერული თანასწორობა და საკუთარი როლი აღნიშნული საკითხების მოგვარებაში.

1 მოსახლეობის საყოველთაო აღწერა, 2014. ხელმისაწვდომია ბმულზე: <https://www.geostat.ge/ka>

2 საპარლამენტაშორისო კავშირი (IPU), ქალები ეროვნულ პარლამენტში. ხელმისაწვდომია ბმულზე: <https://data.ipu.org/women-ranking?month=7&year=2022>

- **პოლიტიკურ პარტიებს არ აქვთ ქალ კანდიდატთა მოძიების, მოზიდვის, ჩართვისა და დანიშნულების მკაფიოდ განერილი წესები, რაც აფერხებს მეტი ქალის ჩართვას პოლიტიკურ ცხოვრებაში.** არცერთ პოლიტიკურ პარტიას არ აქვს შემუშავებული და დანერგილი პარტიის წევრთა პროფესიული განვითარების სისტემა.
- **ქალი კანდიდატების/პოლიტიკოსებისთვის საჯაროობა განსაკუთრებით რთულია.** ისინი აწყდებიან განსხვავებული ტიპისა და შინაარსის კრიტიკას (ასაკი, გარეგნობა, პირადი ცხოვრება). პრობლემური საკითხია სათანადო მექანიზმების არარსებობა ან არაეფექტიანობა ასეთ შემთხვევებზე რეაგირებისათვის, როგორც შიდაპარტიულ, ისე სახელმწიფო დონეზე.

ძირითად მიზნებებზე, თვისობრივ მონაცემთა ანალიზსა და საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკაზე დაყრდნობით, კვლევის ფარგლებში ჩამოყალიბდა ძირითადი რეკომენდაციები.

არსებითი ძირითად რეკომენდაციები:

- პოლიტიკაში ქალთა წარმომადგენლობის ზრდასთან ერთად, **მნიშვნელოვანია მათი შინაარსობრივი მონაწილეობისა და ჩართულობის გაზრდა.** ამისთვის მნიშვნელოვანია, პოლიტიკურმა პარტიებმა შექმნან, განავითარონ და დანერგონ შიდაპარტიული გენდერული პოლიტიკა, მათ შორის, შიდაპარტიული გენდერული კვოტის დანერგვით, რესურსების თანაბარი გადანაწილებით, კანდიდატთა მოზიდვითა და პროფესიული განვითარების სისტემათა შემუშავებით.
- მნიშვნელოვანია, **გადაიხედოს საკანონმდებლო ჩარჩო და გაიზარდოს სავალდებულო გენდერული კვოტის მოქმედების ვადა.** არსებულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით, რეკომენდებულია, საარჩევნო კოდექსში გაუქმდეს ჩანაწერი სავალდებულო გენდერული კვოტის კონკრეტული ვადით (2028 და 2032 წლები) შეზღუდვის შესახებ.
- მნიშვნელოვანია, **გადაიხედოს საკანონმდებლო ჩარჩო და გაიზარდოს სავალდებულო გენდერული კვოტის პროპორცია.** კერძოდ, არსებულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით, რეკომენდებულია, საარჩევნო კოდექსით საქართველოს პარლამენტის 2024 წლისა და მომდევნო არჩევნებისთვის პროპორციულ სიაში განისაზღვროს ყოველ სამეულში ერთი განსხვავებული სქესის კანდიდატის წარდგენა, ხოლო 2032 წლიდან დაინერგოს პარიტეტის პრინციპი (ორი კანდიდატიდან ერთი იყოს განსხვავებული სქესის წარმომადგენელი). ამასთანავე, ადგილობრივი თვითმმართველობის 2025 წლისა და მომდევნო არჩევნებისთვის პროპორციულ სიაში ორი კანდიდატიდან ერთი წარედგინოს განსხვავებული სქესის პირი.
- მნიშვნელოვანია, **გადაიხედოს წამახალისებელი ფინანსური მექანიზმის მოქმედების ვადა და, მისი მიზნობრიობის გაზრდისთვის, შეიცვალოს ფინანსური მექანიზმი.**

„ყველა ადამიანი სამაჩთღის წინაშე თანასწორია. აკიძადელია დისკრიმინაცია ხასის, კანის ფეხის, სქესის, წაჩმომობის, ეთნიკუხი კუთვნიღების, ენის, ხეღიღის, პოღიღიკუხი ან სხვა შეხეღეღების, სოციადუხი კუთვნიღების, ქონეღიღი ან წოღეღიღი მღგომაჩეღობის, საცხოვხეღეღი აღღიღის ან სხვა ნიშნის მიხეღვიღ...“

...სახეღმწიღო უზხუნვეღყოფს თანაბაჩ უფღეღებსა და შესაღღეღობებს მამაკაცეღისა და ქაღეღისათვის. სახეღმწიღო იღებს განსაკუთხეღუღ ზომებს მამაკაცეღისა და ქაღეღის აჩსეღითი თანასწორობის უზხუნვეღსაყოფად და უთანასწორობის აღმოსაფხვხეღად...“

საქართველოს კონსტიტუცია, მუხლი 11. თანასწორობის უფღეღა³

არსეღითი თანასწორობის პრინციპით, რომელიც საქართველოს კონსტიტუციაში 2017 წელს აისახა, სახელმწიღოს დაეკისრა განსაკუთრეღული ზომეღბის მიღეღბის ვალღეღუღეღა - აღმოფხვრას ქაღეღბისა და კაცეღბის უთანასწორობა და ხელი შეუწყოს არსეღით თანასწორობას. კონსტიტუციური ცვლიღეღა საჭირო გახდა არსეღული უთანასწორობის აღმოსაფხვრეღად და პატრიარქალური დღის წესრიღის გარდაღეღისთვის, თუმცა, ამ მხრივ, ჯერ კიღეღ მრავალი გამონღვევა არსეღობს საქართველოში. ევროპის საბჭოს კვღეღვის მიხეღვიღით, „ქალთა და კაცთა თანასწორი პოღიღიკური უფღეღეღბის ფორმალური აღიარეღბის მიუხეღავად, პოღიღიკურ პროცესში კვლავ კაცეღი დომინირეღბენ - მათ შორის, პოღიღიკურ პარტიეღბში განწვრიანეღბისა და ჩართუღობის, კანდიდატის სტატუსით კენწისყრის, შერჩევისა და საკანონმღებლო თუ ადმინისტრაციულ ორგანოეღბში თანამღებობათა დაკაცეღბის მხრივ.“⁴

ბოლო წღეღბში საქართველოში ჩატარეღული კვღეღეღბი ადასტურეღბს, რომ პოღიღიკაში გენღერული თანასწორობის ზრდა - მათ შორის, სავალღეღუღო გენღერული კვოტის გამოყენეღბით - საზოგადოეღბის დაკვეთაა. კვღეღეღბის მიხეღვიღით, ამომრჩეღვის უმრავღესობა ემხრობა პოღიღიკაში ქალთა მონაწიღეღობის გაზრდას. მაგალითად, ეროვნულ-დემოკრაციული ინსტიტუტის (NDI) 2019 წღის ივღისის საზოგადოეღბრივი აზრის კვღეღვის მიხეღვიღით, 65% უჭერს მხარს გენღერულ კვოტირეღბას.⁵ გაეროს (UNDP, UNFPA) კვღეღვა გენღერული დამოკიღებუღეღეღბის შესახეღ ასევე ადასტურეღბს, რომ საქართველოს მოსახღეღობის 60%-ის აზრით, ქაღეღბის მეტი ჩართუღობა პოღიღიკაში დაღებით გავღენას იქონიეღბს ქვეყნის განვითარეღბაზე.⁶ გარდა ამისა, ქაღეღბის 85% და კაცეღბის 58% ფიქრობს, რომ კარიერაში ქაღეღბს უფრო მეტი დაბრკოღეღბის გადაღახვა უწევთ, ვიღრე კაცეღბს.⁷

არსეღითი თანასწორობის პრინციპზე დაყრდნობით, 2020 წღის საარჩევნო რეფორმის ფარღღეღბში, საქართველოს საარჩევნო კოღეღესით სავალღეღუღო გენღერული კვოტა საპარღამენტო არჩევნეღბისთვის განისაზღვრა 2032 წღამღეღ, ხოლო თვითმმართვეღობის არჩევნეღბისთვის - 2028 წღამღეღ. ამ მექანიზმის მიღებით, საქართველომ მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადაღგა პოღიღიკაში გენღერული თანასწორობის ხელშესაწყობად, რაც ასევე ეხმიანეღბა ქვეყნის მიერ საერთაშორისოდ ნაკისრ ვალღეღუღეღბათა შესრუღეღბას და საკანონმღებლო ჩარჩოს შესაბამისად გაღღიერეღბას.

2020 წღის საპარღამენტო და 2021 წღის აღღიღობრივი თვითმმართვეღობის არჩევნეღბისთვის, პოღიღიკურმა პარტიეღბმა, საარჩევნო რეგისტრაციის მიზნით, წარადღინეს პარტიული სიეღბი, სადაც ყოველ ოთხეულში (საპარღამენტო არჩევნეღბისთვის) და ყოველ სამეულში (თვითმმართვეღობის არჩევნეღბისთვის) ერთი პირი მაინც იყო განსხვავეღული სქესის წარმომადგენელი.

3 საქართველოს კონსტიტუცია, მუხლი 11 - თანასწორობის უფღეღა, 1995. ხელმისაწვდომია ბმულზე: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/30346?publication=36>

4 ევროპის საბჭო, რეგიონული კვღეღვა პოღიღიკაში ქალთა წარმომადგენღობის შესახეღ აღმოსავღეთ პარტნიორობის ქვეყნეღბში, 2017. ხელმისაწვდომია ბმულზე: <https://rm.coe.int/regional-study-on-women-s-political-representation-in-the-eastern-part/16807419da>

5 ეროვნულ-დემოკრაციული ინსტიტუტი (NDI), 2019 წღის ივღისის საზოგადოეღბრივი აზრის კვღეღვა. ხელმისაწვდომია ბმულზე: https://www.ndi.org/sites/default/files/NDI%20July%202019%20poll-Issues_GEO_For%20distribution_VF.pdf

6 გაეროს განვითარეღბის პროგრამა (UNDP), გაეროს მოსახღეღობის ფონდი (UNFPA), კვღეღვა „კაცეღბი, ქაღეღბი და გენღერული ურთიეროღბეღი საქართველოში: საზოგადოეღბის აღქმა და დამოკიღებუღეღა“, 2020. ხელმისაწვდომია ბმულზე: <https://bit.ly/3NJBi3b>

7 იქვე.

შედეგად, სავალდებულო გენდერული კვოტის მოქმედების პირველივე წელს პოლიტიკაში ქალთა წარმომადგენლობა, წინა წლებთან შედარებით, გაიზარდა, როგორც ეროვნულ, ასევე ადგილობრივ დონეზე. საქართველოს პარლამენტში, მეცხრე მოწვევის პარლამენტთან შედარებით, ქალთა წარმომადგენლობა გაიზარდა 3%-ით და 19.1% შეადგინა, ხოლო 2021 წლის თვითმმართველობის არჩევნების შედეგად, მათი რიცხვი საკრებულოებში 13.8%-დან 24%-მდე გაიზარდა. პროპორციული სიით მანდატი 441-მა ქალმა (31.4%) მოიპოვა, მაშინ, როცა 2017 წელს ქალებმა მანდატების მხოლოდ 19.8% მოიპოვეს.⁸ მიუხედავად დადებითი ტენდენციისა, საპარლამენტო და თვითმმართველობის არჩევნების შედეგად, ქალთა წარმომადგენლობამ ვერ მიაღწია კრიტიკულ მასას, რომელიც არსებით თანასწორობას განსაზღვრავს.

2022 წელს, არსებული გეოპოლიტიკური ვითარებიდან გამომდინარე, საქართველოს მიეცა უპრეცედენტო შესაძლებლობა, განაცხადი წარედგინა ევროკავშირის წევრობის მისაღებად. ევროპული საბჭოს გადაწყვეტილებით, ქვეყანას ევროპული პერსპექტივა მიენიჭა და მიეცა შესაბამისი მითითებები, რომელთა დაკმაყოფილების შემთხვევაშიც, შეეძლება ევროკავშირის კანდიდატის სტატუსის მიღება. მათ შორისაა ძალისხმევის გაძლიერება გენდერული თანასწორობის ზრდისთვის და ქალთა მიმართ ძალადობის წინააღმდეგ.⁹

აღნიშნულის გათვალისწინებით, ქალთა პოლიტიკური გაძლიერებისა და გენდერული თანასწორობის შემდგომი ხელშეწყობისთვის, კვლევაში გაანალიზდა სავალდებულო გენდერული კვოტირების მექანიზმი საქართველოში, 2020 წლის საპარლამენტო და 2021 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების შედეგებზე დაყრდნობით. შესაბამისად, კვლევის საფუძველზე შემუშავდა რეკომენდაციები, რომელთა მიზანია არსებული საკანონმდებლო ჩარჩოს დახვეწა, გენდერული თანასწორობის ეროვნულ მექანიზმთა გაძლიერება და ინსტიტუციურად ძლიერი პოლიტიკური პარტიების ჩამოყალიბება.

8 სამართლიანი არჩევნები (ISFED), ქალთა პოლიტიკური წარმომადგენლობა და არსებული საკანონმდებლო ბარიერები, 2018. ხელმისაწვდომია ბმულზე: <https://www.isfed.ge/geo/angarishebi/kalta-politikuri-tsarmomadgenloba-da-arsebuli-sakanonmdeblo-barierebi>

9 ევროკომისია, მოსაზრება საქართველოს მიერ ევროკავშირში გაწევრიანების განაცხადის შესახებ, 2022. ხელმისაწვდომია ბმულზე: https://ec.europa.eu/commission/presscorner/detail/en/qanda_22_3800

კვლევის მეთოდოლოგია

კვლევის ფარგლებში გაანალიზდა შესაბამისი საკანონმდებლო ჩარჩო, საერთაშორისო კარგი პრაქტიკა და ადგილობრივი გამოცდილება 2020-2021 საარჩევნო წლების მიხედვით. კერძოდ, მონაცემებისა და ინფორმაციის შესაგროვებლად თუ პრაქტიკაში არსებულ გამოწვევათა გასაანალიზებლად, ჩატარდა 40 სიღრმისეული ინტერვიუ და 6 ფოკუსჯგუფის გამოკითხვა, რომლებშიც მონაწილეობდნენ: 11 პოლიტიკური პარტიის ლიდერები, კამპანიის მენეჯერები, საკრებულოს არჩეული ქალი წევრები, 2021 წლის არჩევნების ქალი კანდიდატები, არჩეული ქალი მერები და მერობის კანდიდატები და 2020 წლის საპარლამენტო არჩევნებში არჩეული ქალი დეპუტატები.

კვლევაში მონაწილე პარტიები არიან: „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“, „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“, „ევროპული საქართველო“, „ლელო საქართველოსთვის“, „სტრატეგია აღმაშენებელი“, „გირჩი“, „მოქალაქეები“, „საქართველოს ლეიბორისტული პარტია“, „საქართველოსთვის“, „დროა“, „ანა დოლიძე - ხალხისთვის.“

სიღრმისეული ინტერვიუები ჩატარდა სახელმწიფო უწყებებისა და არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლებთანაც: კერძოდ, ცენტრალური საარჩევნო კომისიისა (ცესკო) და გენდერული თანასწორობის მუდმივმოქმედი საპარლამენტო საბჭოს წევრებთან, ასევე, სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოების (ISFED) წარმომადგენლებთან. კვლევის პროცესში გამოიკვეთა საჯარო ინფორმაციის გამოთხოვის საჭიროებაც.¹⁰

სამაგიდე კვლევისას გაანალიზდა: ეროვნული საკანონმდებლო ჩარჩო (საქართველოს კონსტიტუცია, საარჩევნო კოდექსი და სხვა), საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ 2020-2021 წლებში მიღებული გადაწყვეტილებები და მათთან დაკავშირებული აქტები¹¹, ასევე, სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოებისა (ISFED) და საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის (საია) მიერ წარდგენილი სასამართლოს მეგობრის მოსაზრება.

კვლევის მიზნებიდან და ამოცანებიდან გამომდინარე, გაანალიზდა საერთაშორისო კარგი პრაქტიკა და სტანდარტები, მათ შორის, ბელგიის, დიდი ბრიტანეთის, პოლონეთისა და შვედეთის სავალდებულო და შიდაპარტიული გენდერული კვოტების მექანიზმთა მოდელები. ადგილობრივი და საერთაშორისო პრაქტიკის შესწავლის საფუძველზე, შემუშავდა შესაბამისი რეკომენდაციები.

10 საჯარო ინფორმაციის მიღების მიზნით, მკვლევრებმა განცხადებით მიმართეს საარჩევნო ადმინისტრაციას. 25.03. 2022 წლის კორესპონდენცია #გ-01/05-22.

11 მეთოდოლოგიურად დაგეგმილი იყო ჩალრმავებული ინტერვიუები საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლეებთან, თუმცა, სასამართლოს განმარტებით, მიღებულ გადაწყვეტილებაზე მოსამართლეთა გამოკითხვა დაარღვევს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ კანონის მოთხოვნას, რომლის მიხედვითაც, არავის აქვს უფლება, საკონსტიტუციო სასამართლოს წევრს მოსთხოვოს ანგარიში ან განმარტება კონკრეტულ საქმეზე.

I. კვლევის ძირითადი მიზნები და რეკომენდაციები

კვლევის ფარგლებში გაანალიზებული თვისობრივი მონაცემების, საკანონმდებლო ჩარჩოსა და საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკის შესწავლით, ჩამოყალიბდა ძირითადი მიზნები და რეკომენდაციები, რომლებიც შეეხება საკანონმდებლო ჩარჩოს დახვეწას, ასევე, სახელმწიფოში არსებული გენდერული თანასწორობის ეროვნული მექანიზმებისა და ინსტიტუციურად ძლიერი პოლიტიკური პარტიების ჩამოყალიბებას.

ძირითადი მიზნები

ძირითადი მიზნები: გენდერული თანასწორობის პოლიტიკა

1. საქართველოში გენდერული თანასწორობის მხარდამჭერი ეროვნული მექანიზმები არასაკმარისად ძლიერია, როგორც ინსტიტუციურად, ასევე რესურსების თვალსაზრისით.
2. გამომწვევად რჩება მდგრადი პოლიტიკური პარტიები, ძლიერი შიდა დემოკრატიით, რომლებსაც გააზრებული აქვთ პოლიტიკაში ქალთა მონაწილეობის მნიშვნელობა, ადამიანის უფლებები, გენდერული თანასწორობა და საკუთარი როლი აღნიშნული საკითხების მოგვარებაში.
3. საქართველოში ჩატარებული კვლევების მიხედვით, გენდერული თანასწორობა, მათ შორის, პოლიტიკაში ქალთა როლის გაძლიერება (კონსტრუქციული პოლიტიკის წარმოებისთვის), საზოგადოების მოთხოვნაა. ამავსე ადასტურებს აღნიშნული კვლევაც.
4. მსოფლიო ქვეყნები უკვე მსჯელობენ ახალი მიზნის მიღწევაზე - 2030 წლამდე საკანონმდებლო ორგანოში ქალთა წარმომადგენლობის 50%-მდე გაზრდაზე. ამისთვის კი საჭიროა შესაბამისი მექანიზმების შემუშავება და დანერგვა.

ძირითადი მიზნები: სავალდებულო გენდერული კვოტა და წამახალისებელი ფინანსური მექანიზმი

1. სავალდებულო გენდერული კვოტირების დანერგვით (საპარლამენტო არჩევნებისთვის - 2032 წლამდე, ხოლო თვითმმართველობის არჩევნებისთვის - 2028 წლამდე), საქართველომ დაიწყო ნაკისრი ვალდებულებების შესრულება პოლიტიკაში ქალთა მონაწილეობის გასაზრდელად. საკანონმდებლო ცვლილებების მიუხედავად, სავალდებულო გენდერული კვოტის ლეგიტიმური მიზნის მისაღწევად, გამოწვევად რჩება მისი მოქმედების ვადა (არასაკმარისი დრო) და პროპორცია (პროცენტული გადანაწილება).
2. საერთაშორისო კარგი პრაქტიკის შესწავლამ აჩვენა, რომ ქვეყნებში, სადაც განსაზღვრულია სავალდებულო კვოტა, ის დროებით მექანიზმად მოიაზრება, თუმცა კანონმდებლობა მის მოქმედებას არ ზღუდავს გარკვეული ვადით.
3. საქართველოს კანონმდებლობა ჯეროვნად ასახავს ხარვეზის დადგენის წესს იმ შემთხვევისთვის, თუ საარჩევნო რეგისტრაციისას არ იქნება დაცული გენდერული კვოტის პრინციპი. კერძოდ, პარტიას უბრუნდება სია და, ხარვეზის აღმოსაფხვრელად, ეძლევა 3-დღიანი ვადა. თუ ხარვეზი არ აღმოიფხვრება, პარტიული სია რეგისტრაციაში არ ტარდება. ადგილმონაცვლეობისა და მანდატის გაუქმების პრინციპის შესაბამისად, თუ პროპორციული საარჩევნო სისტემით არჩეულ პარლამენტის წევრს ან საკრებულოს წევრს ვადამდე შეუწყდება წევრის უფლებამოსილება, მის ადგილს იკავებს იმავე სქესის წარმომადგენელი. თუ წარდგენილ პარტიულ სიაში იმავე სქესის წევრობის კანდიდატი აღარ არის, მანდატი უქმდება.
4. საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე, გაუქმდა სავალდებულო გენდერული კვოტის ნორმატიული შინაარსი, რომელიც ადგენდა, რომ საქართველოს პარლამენტის 2024 წლის 26 ოქტომბრის არჩევნებამდე სიის ყოველ ოთხეულში ერთი პირი მაინც უნდა იყოს კაცი, ხოლო 2028 წლამდე მუნიციპალიტეტის ორგანოთა საერთო არჩევნებისათვის ყოველ სამეულში უნდა განისაზღვროს ერთი კაცი კანდიდატი. თუ პროპორციული საარჩევნო სისტემით არჩეულ საკრებულოს წევრ კაცს უფლებამოსილება ვადამდე შეუწყდება, მის ადგილს დაიკავებს პარტიულ სიაში მყოფი მომდევნო კაცი.

- 2020 წლის საქართველოს პარლამენტის არჩევნებისთვის მხოლოდ სამმა პოლიტიკურმა პარტიამ და ერთმა საარჩევნო ბლოკმა¹² ისარგებლეს კანონში არსებული ფინანსური წამახალისებელი ზომით. თანხის მიზნობრივად ხარჯვაზე ეფექტიანი მონიტორინგისთვის, საქართველოს სახელმწიფო აუდიტის სამსახურს მეთოდოლოგია არ შეუცვლია: თავისი კომპეტენციის ფარგლებში, სწორედ ამ უწყებამ უნდა დაადგინოს პოლიტიკურ პარტიათა დაფინანსების გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულების სტანდარტი, ასევე, შეისწავლოს მისი დაცვა პრაქტიკაში.

ძირითადი მიზნები: შიდაპარტიული გენდერული პოლიტიკა

- პოლიტიკურ პარტიებში სავალდებულო გენდერული კვოტის მიმართ დამოკიდებულება, ზოგადად, დადებითია. პარტიებში სავალდებულო გენდერული კვოტის მიღებამ ბევრი ახალი, კარგი და აქტიური ქალი გამოკვეთა, რომლებიც ადრე მხოლოდ პარტიულ საქმიანობას ეწეოდნენ. თუმცა, გამონკვევად რჩება პარტიების მიერ სავალდებულო გენდერული კვოტირების სრულფასოვნად შესრულება: კერძოდ, საარჩევნო სიების ფორმირება და ქალებით დაკომპლექტება ტექნიკური და ფორმალისტური პროცესია და მხოლოდ კანონით დადგენილი წესის დაცვას ემსახურება.
- პოლიტიკურ პარტიებს არ აქვთ ან სუსტად აქვთ განერილი და დანერგილი შიდაპარტიული გენდერული პოლიტიკა, მათ შორის, სექსუალურ შევიწროებასთან მიმართებით.
- პოლიტიკურ პარტიებს არ აქვთ ქალ კანდიდატთა მოძიების, მოზიდვის, ჩართვისა და დაწინაურების მკაფიოდ განერილი წესები, რაც თავისთავად აფერხებს მეტი ქალის ჩართვას პოლიტიკურ ცხოვრებაში.
- არცერთ პოლიტიკურ პარტიას არ აქვს შემუშავებული და დანერგილი პარტიის წევრთა პროფესიული განვითარების სისტემა, რაც კიდევ უფრო უთანასწორო გარემოს ქმნის ქალებისთვის.
- პოლიტიკურ პარტიებს მეტ-ნაკლებად ჩამოყალიბებული აქვთ კანდიდატის დასახელების ზოგადი კრიტერიუმები, თუმცა დაწინაურების მექანიზმი არ არის მკაფიო, ნათელი და გამჭვირვალე, რაც განსაკუთრებით პრობლემურია ქალებისთვის.
- პოლიტიკურ პარტიებში (სტანდარტული) საარჩევნო რესურსი ქალ და კაც კანდიდატებს შორის თანაბრად ნაწილდება, თუმცა ეს არ გამორიცხავს რესურსების ნაკლებ ხელმისაწვდომობასა და შესაძლებლობათა სიმწირეს ქალებისთვის.

ძირითადი მიზნები: ქალი კანდიდატები/პოლიტიკოსები

- ქალი კანდიდატების/პოლიტიკოსებისთვის საჭაროობა განსაკუთრებით რთულია. ისინი აწყდებიან განსხვავებული ტიპისა და შინაარსის კრიტიკას (ასაკი, გარეგნობა, პირადი ცხოვრება), რაც კაც კანდიდატთა/პოლიტიკოსთა მიმართ ნაკლებად შეინიშნება.
- ქალ კანდიდატებს დაბრკოლებას უქმნის მტრული საარჩევნო გარემო. პირადი ინფორმაციის გამოქვეყნებისა და ძალადობის ფაქტები, კაცებისგან განსხვავებით, მათ უფრო მოწყვლადს ხდის.
- ქალი კანდიდატებისთვის პრობლემური საკითხია სათანადო მექანიზმების არარსებობა ან არაეფექტიანობა ასეთ შემთხვევებზე რეაგირებისათვის, როგორც შიდაპარტიულ, ისე სახელმწიფო დონეზე.

ძირითადი მიზნები: არჩევნების შემდეგი პერიოდი

- პოლიტიკურ პარტიებს არ აქვთ ან სუსტად აქვთ განერილი თანამდებობათა განაწილების კრიტერიუმები საკანონმდებლო და წარმომადგენლობით ორგანოებში (პარლამენტი და საკრებულოები), რაც ქალებისთვის გამონკვევად რჩება.

¹² კანონში არსებული ფინანსური წამახალისებელი ზომით ისარგებლეს შემდეგმა პარტიებმა: მპგ „ევროპული საქართველო - მოძრაობა თავისუფლებისთვის“, მპგ „საქართველოს პატრიოტთა ალიანსი“, მპგ „ალეკო ელისაშვილი - მოქალაქეები“, და ბლოკი „გიორგი ვაშაძე - სტრატეგია აღმაშენებელი.“

2. პოლიტიკურ პარტიებს არ აქვთ გაწერილი კონკრეტული კრიტერიუმები გენდერული თანასწორობის საბჭოებში წევრობის დასახელებისთვის. წევრობა ხშირად კანდიდატთა ინტერესისა და ინიციატივის შედეგია.
3. პოლიტიკური პარტიები ყურადღებით უნდა მოეკიდონ არჩევნებს შორის პერიოდს. მათთვის გამომწვევად რჩება პარტიის ყოველდღიური საქმიანობა არასაარჩევნო პერიოდში.

ძირითადი რეკომენდაციები

ძირითადი რეკომენდაციები: შიდაპარტიული გენდერული პოლიტიკა

1. **შიდაპარტიული პოლიტიკა და წესები:** მნიშვნელოვანია, რომ პოლიტიკურმა პარტიებმა შექმნან, განავითარონ და დანერგონ შიდაპარტიული გენდერული პოლიტიკა, მათ შორის, სექსუალურ შევიწროებასთან მიმართებით; ასევე, იფიქრონ შიდაპარტიული გენდერული კვოტის დანერგვაზე.
2. **კანდიდატთა მოძიება, მოზიდვა და პროფესიული განვითარება:** მნიშვნელოვანია, პოლიტიკურმა პარტიებმა გაწერონ ქალ კანდიდატთა მოძიების, მოზიდვისა და დაწინაურების მკაფიო წესები; მეტიც, მათ უნდა შეიმუშაონ და დანერგონ პარტიის წევრთა პროფესიული განვითარების სისტემა, რაც დაეხმარება როგორც ქალების, ასევე სხვა ჯგუფების გააქტიურებას პოლიტიკაში; ამასთანავე, ხელს შეუწყობს კომპეტენციების ეფექტიან გამოყენებას ადამიანის უფლებების, გენდერული თანასწორობისა და სხვა მნიშვნელოვანი სახელმწიფოებრივი საკითხების მიმართ.
3. **რესურსების თანაბრად და თანასწორად გადანაწილება:** მნიშვნელოვანია, პოლიტიკურმა პარტიებმა გაწერონ მკაფიო და ნათელი წესები რესურსების გადანაწილებისათვის, როგორც საარჩევნო, ისე არასაარჩევნო პერიოდში, რაც გაზრდის ქალ წევრთა ხელმისაწვდომობას რესურსებზე.

ძირითადი რეკომენდაციები: სავალდებულო გენდერული კვოტა

1. **საარჩევნო კოდექსში სავალდებულო გენდერული კვოტის მოქმედების ვადისა და პროპორციის გაზრდა:** იმისათვის, რომ სავალდებულო გენდერულმა კვოტამ ლეგიტიმურ მიზანს მიაღწიოს, უნდა გაიზარდოს მისი მოქმედების ვადა და პროპორცია. საქართველოში ქალთა პოლიტიკაში მონაწილეობა ნელი ტემპით იზრდება და ჯერ კიდევ არ მიუღწევია იმ კრიტიკული მასისთვის, რომელიც, საერთაშორისო სტანდარტისა და კარგი პრაქტიკის მიხედვით, შეესაბამება ახალ მიზანს (50/50). ამიტომ, აუცილებელია: გადაიხედოს საკანონმდებლო ჩარჩო და გაიზარდოს სავალდებულო გენდერული კვოტის მოქმედების ვადა, როგორც საქართველოს პარლამენტის, ასევე ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოს - საკრებულოს შემთხვევაში; ამასთანავე, განისაზღვროს სავალდებულო კვოტის უვადოდ მოქმედება საქართველოს პარლამენტსა და საკრებულოში. არსებულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით, რეკომენდებულია, გაიზარდოს პროპორცია როგორც საპარლამენტო, ასევე ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებისთვის, შემდეგი პრინციპით:
 - ✓ საარჩევნო კოდექსით საქართველოს პარლამენტის 2024 წლისა და მომდევნო არჩევნებისთვის პროპორციულ სიაში ყოველ სამეულში განისაზღვროს ერთი განსხვავებული სქესის კანდიდატის წარდგენა, ხოლო 2032 წლიდან დაინერგოს პარიტეტის პრინციპი (ორ კანდიდატში ერთი იყოს განსხვავებული სქესის წარმომადგენელი). ამასთანავე, ადგილობრივი თვითმმართველობის 2025 წლისა და მომდევნო არჩევნებისთვის პროპორციულ სიაში ორ კანდიდატიდან ერთი წარედგინოს განსხვავებული სქესის პირი.

საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე, მანდატის ვადაზე ადრე შეწყვეტის შემთხვევაში, დაზუსტდეს ადგილმონაცვლეობის პრინციპი (სქესის ან მომდევნო გათვალისწინებით), როგორც საქართველოს პარლამენტის, ასევე ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების არჩევნებისას.

2. **კანონი მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ და სხვა აქტები (სახელმწიფო აუდიტორის ბრძანება მონიტორინგის მეთოდოლოგიის შესახებ):** გადაიხედოს წამახალისებელი ზომის მოქმედების ვადა და მის მიზნობრივად ხარჯვაზე მონიტორინგის მეთოდოლოგია, ასევე, პოლიტიკური პარტიების საქმიანობის მარეგულირებელი ნორმები. საარჩევნო კოდექსსა და მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ კანონში შესატან ცვლილებებზე მუშაობა წარიმართოს საარჩევნო სისტემის განხილვის ქრილში, კომპლექსურად.¹³
3. **კანონი გენდერული თანასწორობის შესახებ:** გენდერული კვოტირების მექანიზმის ეფექტიანად დაწესებისა და შესაბამისი პოლიტიკის ხელშეწყობისთვის, გენდერული თანასწორობის შესახებ კანონში აისახოს კვოტირების მექანიზმი. არსებითად მნიშვნელოვანია, სახელმწიფომ გაიაზროს გენდერული კვოტირების მექანიზმის, როგორც დროებითი სპეციალური ზომის ინსტრუმენტული ბუნება: რომ ეს არის არა მიზანი, არამედ მიზნის მიღწევის ერთ-ერთი საშუალება და, შესაბამისად, ხელი შეუწყოს მის ეფექტიან შესრულებას პოლიტიკაში.¹⁴

ძირითადი რეკომენდაციები: ინსტიტუციური მექანიზმები და საკანონმდებლო საქმიანობა

1. **ეროვნული გენდერული თანასწორობის ინსტიტუციური მექანიზმები:** გენდერული თანასწორობა, მათ შორის, პოლიტიკაში ქალთა წარმომადგენლობა, სახელმწიფოსთვის გახდეს პრიორიტეტული საკითხი და მუშაობა წარიმართოს სისტემურ და განგრძობით ფორმატში. გაძლიერდეს გენდერული თანასწორობის მხარდამჭერი ეროვნული მექანიზმები, მათ შორის, გენდერული თანასწორობის მუდმივმოქმედი საპარლამენტო საბჭო, გენდერული თანასწორობის, ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის საკითხებზე მომუშავე უწყებათაშორისი კომისია და სხვა.

გენდერული თანასწორობის მუდმივმოქმედი საპარლამენტო საბჭო: მნიშვნელოვანია, გენდერული თანასწორობის საბჭოს თანმიმდევრული განგრძობითი პოლიტიკით სისტემატურად ჰქონდეს ქმედითი როლი, როგორც სავალდებულო გენდერული კვოტირების კანონმდებლობის დახვეწაში, ასევე ქვეყანაში გენდერული თანასწორობის პოლიტიკის განსაზღვრა-აღსრულებაში.

2. **საკანონმდებლო საქმიანობა:** მნიშვნელოვანია, პოლიტიკურმა პარტიებმა განერონ საკანონმდებლო ორგანოებში (პარლამენტი და საკრებულოები) თანამდებობის გადანაწილების კრიტერიუმები, რათა ხელი შეუწყონ მეტი ქალის არჩევას ასეთ პოზიციებზე (რაც განსაკუთრებით პრობლემურია რეგიონებისთვის).
3. **პატრიარქალური სტერეოტიპები და ძალადობრივი გარემო:** ქალი კანდიდატებისთვის გამონვევად რჩება მტრული საარჩევნო გარემო, პირადი ინფორმაციის გამოქვეყნების შემთხვევები, ძალადობის ფაქტები და შესაბამისი მექანიზმების არარსებობა ან არაეფექტიანობა. მნიშვნელოვანია სათანადო მექანიზმების შემუშავება, დაწესება და ეფექტიანი აღსრულება, როგორც შიდაპარტიულ, ისე სახელმწიფო დონეზე.

13 საქართველოს კონსტიტუციის მიხედვით (მუხლი 37, პარლამენტის არჩევნები), „პარლამენტის წევრთა მანდატები განაწილდება იმ პოლიტიკურ პარტიებზე, რომლებმაც არჩევნებში მონაწილე ამომრჩეველთა ნამდვილი ხმების 5% მაინც მიიღეს. პოლიტიკური პარტიის მიერ მიღებული მანდატების რაოდენობის დასადგენად, მის მიერ მიღებული ხმების რაოდენობა მრავლდება 150-ზე და იყოფა ყველა იმ პოლიტიკური პარტიის მიერ მიღებული ხმების ჯამზე, რომლებმაც არჩევნებში მონაწილე ამომრჩეველთა ნამდვილი ხმების 5% მაინც მიიღეს. მიღებული რიცხვის მთელი ნაწილი არის პოლიტიკური პარტიის მიერ მიღებული მანდატების რაოდენობა. თუ პოლიტიკური პარტიების მიერ მიღებული მანდატების რაოდენობათა ჯამი 150-ზე ნაკლებია, გაუნაწილებელ მანდატებს თანმიმდევრობით მიიღებენ უკეთესი შედეგის მქონე პოლიტიკური პარტიები.“

14 საარჩევნო კოდექსში განხორციელებული ცვლილების მიუხედავად, 2018 წლის შემდგომ, გენდერული თანასწორობის შესახებ კანონში (მიღებულია 2010 წელს) საარჩევნო უფლებათა თანასწორობის უზრუნველსაყოფად, ცვლილებები არ შესულა. კანონის მე-11 მუხლს, რომელიც ქმნის თანასწორი საარჩევნო უფლებების გარანტიებს, კვლავ დეკლარაციული სახე აქვს: კერძოდ, კანონით გარანტირებულია „ყველას უფლება, მონაწილეობა მიიღოს არჩევნებში თანასწორი პირობებით, დისკრიმინაციის გარეშე;“ კანონი ასევე უთითებს, რომ „წარმომადგენლობით ორგანოში არჩევნის უფლების რეალიზაციისას, უზრუნველყოფილ უნდა იქნეს ორივე სქესის პირთა თანასწორი მონაწილეობის შესაძლებლობა“ და რომ „ქალები და მამაკაცები შეიძლება არჩეულ იქნენ თანასწორი პირობებით, დისკრიმინაციის გარეშე“ (მუხლი 11).

II. საკანონმდებლო ჩარჩოს ანალიზი

გენდერული თანასწორობა მოიცავს ქალთა გაძლიერებას, ასევე, მათთვის ისტორიულად შექმნილი ხილული თუ უხილავი ბარიერების აღმოფხვრას და თანაბარი შესაძლებლობების შექმნას ყველა სფეროში, იქნება ეს ეკონომიკური, სოციალური, კულტურული თუ პოლიტიკური. ამ მიზნის მიღწევა შესაძლებელია სახელმწიფოს სისტემური და თანმიმდევრული ღონისძიებებით. პოლიტიკაში ქალთა მონაწილეობის გარეშე, ვერცერთი ქვეყანა ვერ შეძლებს გენდერული თანასწორობის მიღწევას სოციალურ-ეკონომიკურ, კულტურულ და პოლიტიკურ სფეროებში.¹⁵ მხოლოდ ინკლუზიური პოლიტიკით ხდება შესაძლებელი თანასწორობის არსის დაცვა საზოგადოებრივ და პოლიტიკურ ცხოვრებაში.

ქალთა გაძლიერებისათვის, ასევე, კონსტიტუციური პრინციპის - არსებითი თანასწორობის მისაღწევად, საჭიროა სახელმწიფოს მხრიდან თანმიმდევრული და გააზრებული ნაბიჯების გადადგმა. საქართველოში გენდერული თანასწორობის 2021 წლის კვლევის მიხედვით: „მხოლოდ თანასწორობის ფორმალური მექანიზმების არსებობა არასაკმარისია, რათა სახელმწიფომ შეასრულოს ნაკისრი საერთაშორისო ვალდებულებები და უპასუხოს პირდაპირ და არაპირდაპირ დისკრიმინაციას და მიაღწიოს სუბსტანციურ თანასწორობას.“¹⁶

საერთაშორისო ვალდებულებათა შესაბამისად, საქართველომ არსებითი ნაბიჯები გადადგა ეროვნული საკანონმდებლო ჩარჩოს დასახვეწად და საერთაშორისო სტანდარტებთან ჰარმონიზებისათვის, თუმცა საკანონმდებლო სივრცესა და პრაქტიკაში გამოწვევები ჯერ კიდევ დარჩა.

2.1. საერთაშორისო სტანდარტები

პოლიტიკაში ქალთა თანასწორი მონაწილეობისათვის, შეიქმნა არაერთი ჩარჩო/დოკუმენტი - მთავარი მხარდამჭერი ინსტრუმენტები, რომლებიც ადგენენ საერთაშორისო სტანდარტებს ამ კუთხით.

გაეროს საერთაშორისო პაქტი სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ

საერთაშორისო პაქტი¹⁷ სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ¹⁸ საქართველოში ძალაშია 1994 წლის 3 აგვისტოდან.¹⁹

პაქტის ხელმოწერილი სახელმწიფოები, მათ შორის, საქართველო, კისრულობენ ვალდებულებას, რომ გაეროს პრინციპების შესაბამისად, აღიარონ ადამიანთა მოდგმის ყველა წევრის თანდაყოლილი ღირსება, განუყოფელი და თანასწორი უფლებები მსოფლიოში, რაც თავისუფლების, სამართლიანობისა და მშვიდობის საფუძველია. კერძოდ, თანასწორობის საფუძველზე, ისარგებლონ ეკონომიკური, სოციალურ-კულტურული, პოლიტიკური და ეკონომიკური უფლებებით. პაქტის მე-3 მუხლის მიხედვით, მისი მონაწილე სახელმწიფოები კისრულობენ ვალდებულებას, რომ კაცებმა და ქალებმა თანაბრად ისარგებლონ ამ პაქტით გათვალისწინებული ყველა მოქალაქეობრივი და პოლიტიკური უფლებით.

გაეროს კონვენცია ქალთა მიმართ ყოველგვარი დისკრიმინაციის აღმოფხვრის შესახებ

კონვენცია ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ (CEDAW) ემსახურება გენდერული თანასწორობის მიღწევას, მათ შორის, პოლიტიკაში²⁰, ასევე, ქალთა და

15 საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია (საია), ქალები ქართულ პოლიტიკაში, 2017. ხელმისაწვდომია ბმულზე: <https://bit.ly/3pcZMbF>

16 გენდერული თანასწორობის მუდმივმოქმედი საპარლამენტო საბჭო, გენდერული თანასწორობა საქართველოში: ბარიერები და რეკომენდაციები, 2021. ხელმისაწვდომია ბმულზე: <https://bit.ly/3ppmIUl>

17 გაერო, საერთაშორისო პაქტი სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ, 1966. ორიგინალი ვერსია ხელმისაწვდომია ბმულზე: <http://www.cirp.org/library/ethics/UN-covenant/>

18 საერთაშორისო პაქტი სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ მიღებულია და ღიაა ხელმოსაწერად, სარატიფიკაციოდ და შესაერთებლად გენერალური ასამბლეის 1966 წლის 16 დეკემბრის 2200A(XXI) რეზოლუციით. ძალაშია 1976 წლის 23 მარტიდან.

19 საერთაშორისო პაქტი სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ, 1966. ხელმისაწვდომია ბმულზე: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/1398335?publication=0>

20 გაერო, CEDAW-ის ძირითადი რეკომენდაცია 2, 1997. ხელმისაწვდომია ბმულზე: <http://www.un.org/womenwatch/daw/cedaw/recommendations/recomm.htm>; CEDAW-ის ძირითადი რეკომენდაცია 25, 1997. ხელმისაწვდომია ბმულზე: [http://www.un.org/womenwatch/daw/cedaw/recommendations/General%20recommendation%2025%20\(English\).pdf](http://www.un.org/womenwatch/daw/cedaw/recommendations/General%20recommendation%2025%20(English).pdf)

გოგონათა მიმართ არსებული ძალადობის აღმოფხვრას.²¹ კონვენციას საქართველო 1994 წელს შეუერთდა, რითაც აღიარა განსაზღვრული ვალდებულებები.²² კერძოდ, მონაწილე სახელმწიფოები გმობენ ქალთა დისკრიმინაციის ყველა ფორმას და თანხმდებიან, რომ ყველა საჭირო საშუალებით, განუხრელად გაატარებენ ქალთა მიმართ დისკრიმინაციის აღმოფხვრის პოლიტიკას. ამ მიზნით, კისრულობენ ვალდებულებას, რომ კაცთა და ქალთა თანასწორუფლებიანობის პრინციპს შეიტანენ თავიანთ ეროვნულ კონსტიტუციებში ან სხვა შესაბამის კანონმდებლობაში; ამასთან, კანონითა და სხვა სათანადო საშუალებებით, პრაქტიკულად შეასრულებენ ამ პრინციპს.²³ მხარეები იღებენ პასუხისმგებლობას, რომ გაერთიანებული ერების გენერალურ მდივანს კომიტეტში განსახილველად პერიოდულად წარუდგენენ მოხსენებას კონვენციის დებულებათა შესასრულებლად მიღებულ ღონისძიებებსა და მიღწეულ შედეგებზე.²⁴

2014 წელს გაცემული რეკომენდაციების/საქართველოს მიერ ნაკისრი ვალდებულებების შეფასების ფარგლებში, კომიტეტი საქართველოს მოუწოდებს, მიიღოს საგანგებო ზომები არსებითი თანასწორობის დასაჩქარებლად, მათ შორის, სავალდებულო გენდერული კვოტა. აგრეთვე, შეისწავლოს და დაამუშაოს ამ ზომების ზემოქმედების შედეგები და მონაცემები, გენდერული სტატისტიკის ჩათვლით.²⁵

პეკინის სამოქმედო პლატფორმა (BPfA)

პეკინის დეკლარაცია და სამოქმედო პლატფორმა 1995 წელს ქალთა საკითხებზე გამართულ მეოთხე მსოფლიო კონფერენციაზე მიღებული მთავარი დოკუმენტია, რომელიც გაეროს ყველა წევრ სახელმწიფოს ეხება. დოკუმენტში დადგენილია მთავრობების ვალდებულება, ხელი შეუწყონ ქალებისა და გოგონების უფლებათა განხორციელებასა და დაცვას.²⁶ პეკინის დეკლარაცია და მისი სამოქმედო პლატფორმა განსაზღვრავს ცვლილებებს გენდერული თანასწორობის მიღწევისთვის და მნიშვნელოვანი ინსტრუმენტია გენდერული თანასწორობის ხელშემწყობი პოლიტიკის დაგეგმვა-განხორციელებაში.

2000 წელს, პროგრესის გლობალური ხუთწლიანი მიმოხილვისას, წევრმა სახელმწიფოებმა, მათ შორის, საქართველომ, იკისრეს ვალდებულება, რომ პლატფორმით განსაზღვრულ ღონისძიებათა შესრულება დააჩქარონ ხუთ წელიწადში ერთხელ მიმოხილვით.

21 გაერო, კონვენცია ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ (CEDAW), 1979. ორიგინალი ვერსია ხელმისაწვდომია ბმულზე: <http://www.un.org/womenwatch/daw/cedaw/text/econvention.htm>

22 გაერო, კონვენცია ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ (CEDAW), რატიფიცირებულია 1994 წელს. ხელმისაწვდომია ბმულზე: <https://www.supremecourt.ge/files/upload-file/pdf/aqtebi9.pdf>

23 იქვე, კონვენციის მე-2 მუხლი.

24 კონვენციის მე-18 მუხლის მიხედვით, მონაწილე სახელმწიფოები კისრულობენ ვალდებულებას, რომ „გაეროს გენერალურ მდივანს კომიტეტში განსახილველად წარუდგინონ მოხსენება საკანონმდებლო, სასამართლო, ადმინისტრაციული და სხვა ღონისძიებათა შესახებ, რომლებიც გატარდა კონვენციის დებულებათა შესასრულებლად, ასევე, მიღწეული პროგრესის შესახებ: 1. დაინტერესებული სახელმწიფოსათვის ამ კონვენციის ძალაში შესვლის დღიდან ერთი წლის განმავლობაში; 2. ამის შემდეგ, სულ ცოტა, ყოველი ოთხი წლის მერე და შემდგომში - როცა ამას კომიტეტი მოითხოვს“.

25 ქალთა მიმართ დისკრიმინაციის აღმოფხვრის კომიტეტი, დასკვნითი შენიშვნები საქართველოს მე-4 და მე-5 პერიოდული ანგარიშების შესახებ, CEDAW/GEO/CO/4-5, 2014 წლის 24 ივლისი, მე-17 პუნქტი. კერძოდ: „ქალთა და მამაკაცთა არსებითი თანასწორობის დასაჩქარებლად, მიიღოს დროებითი სპეციალური ზომები, მათ შორის, საკანონმდებლო კვოტები. კონვენციის მე-4 მუხლის პირველი პუნქტის და კომიტეტის 25-ე ზოგადი რეკომენდაციის შესაბამისად, კომიტეტი მოუწოდებს სახელმწიფოს, შეიმუშაოს დროებით სპეციალური ზომები მარგინალიზებულ და სოციალურად დაუცველ ქალთა ჯგუფებისათვის. შეისწავლოს მსგავსი ზომების ზემოქმედება და გაასაჯაროს ამ კვლევის მიგნებები, შესაბამისი გენდერული სტატისტიკის ჩათვლით.“ აგრეთვე, ქალთა მიმართ დისკრიმინაციის აღმოფხვრის კომიტეტი, დასკვნითი შენიშვნები საქართველოს მე-4 და მე-5 პერიოდული ანგარიშების შესახებ, CEDAW/GEO/CO/4-5, 2014 წლის 24 ივლისი, 25-ე პუნქტით მოუწოდებს სახელმწიფოს, „უზრუნველყოს ქალთა სრული და ეფექტიანი მონაწილეობა პოლიტიკურ და საზოგადოებრივ ცხოვრებაში, განსაკუთრებით, მაღალ და გადაწყვეტილების მიღებებში. მათ შორის, საკანონმდებლო ორგანოებში. კომიტეტი მოუწოდებს სახელმწიფოს, შემოიღოს სავალდებულო კვოტები პოლიტიკური პარტიებისთვის, რაც მნიშვნელოვნად გაზრდის სახელმწიფო და ადგილობრივ ორგანოებში ქალთა წარმომადგენლობას.“ დასკვნითი შენიშვნებში (ადამიანის უფლებათა კომიტეტი, CCPR/GEO/CO 4, 2014 წლის 19 აგვისტო, მე-7 (ა) პუნქტი) ადამიანის უფლებათა კომიტეტი საქართველოს მოუწოდებს, რომ „საკანონმდებლო და აღმასრულებელ ორგანოებში, მათ შორის, პარლამენტსა და მთავრობაში, გადაწყვეტილების მიღებებში პოზიციებზე ქალთა თანასწორი მონაწილეობის მისაღწევად, გააძლიეროს ძალისხმევა კონკრეტული პერიოდის განმავლობაში.“ კომიტეტი სახელმწიფოს მოუწოდებს (ადამიანის უფლებათა კომიტეტი, CCPR/GEO/CO 4, 2014 წლის 19 აგვისტო, მე-19 პუნქტი), „გააძლიეროს ენის სწავლების პროგრამები უმცირესობებისათვის, ხელი შეუწყოს მათ წარმომადგენლობას პოლიტიკურ და საჯარო უწყების ყველა დონეზე და განიხილოს უმცირესობათა ენის გამოყენება ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოებსა და ადმინისტრაციაში.“

26 გაერო, მსოფლიო მეოთხე კონფერენცია, 1995. ხელმისაწვდომია ბმულზე: <http://www.un.org/womenwatch/daw/beijing/platform/plat1.htm>

პეკინის დეკლარაციითა და სამოქმედო პლატფორმით, წევრ სახელმწიფოებს, მათ შორის, საქართველოს, პოლიტიკაში გენდერული თანასწორობის ფარგლებში მოეთხოვება შემდეგი ამოცანების შესრულება: მიიღოს ზომები ქალთა თანაბარი ჩართულობისთვის საზოგადოებრივ და პოლიტიკურ ცხოვრებაში; გაზარდოს ქალთა შესაძლებლობები/უნარები, რათა მონაწილეობა მიიღონ გადაწყვეტილების მიმღებ პოზიციებზე.²⁷

გაეროს უშიშროების საბჭოს 1325-ე რეზოლუცია - ქალები, მშვიდობა და უსაფრთხოება

გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუცია 1325 ადასტურებს ქალთა მონაწილეობისა და გენდერული საკითხების ჩართვის მნიშვნელობას სამშვიდობო მოლაპარაკებებში, ჰუმანიტარული რეაგირების დაგეგმვაში, სამშვიდობო ოპერაციებში, კონფლიქტის შემდგომ სამშვიდობო საქმიანობასა და მმართველობაში.²⁸ შესაბამისად, წევრ სახელმწიფოებს, მათ შორის, საქართველოს, რეზოლუცია მოუწოდებს:

„უზრუნველყონ ქალთა წახმომადგენლობის გაზრდა კონფლიქტების პრევენციის, მახთვისა და მოგვარების ეფექტურ, ჰეგიონურ და საეხთაშორისო ინსტიტუტებსა თუ მექანიზმებში, გადაწყვეტილების მიმღებ ყველა დონეზე.“

ევროპის საბჭო

ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტი, 2003 წლის რეკომენდაციით, წევრ სახელმწიფოებსა და, მათ შორის, საქართველოს მიმართავს, რომ გამოიყენონ საჭირო მექანიზმები ქალებისა და კაცების თანაბარი წვდომისათვის პოლიტიკურ, ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ რესურსებზე, რათა აღმოიფხვრას გენდერული უთანასწორობა, რომელიც ჯერ კიდევ არსებობს წევრ სახელმწიფოებში.

ევროპის საბჭოს რეკომენდაციით, არცერთი სქესის წარმომადგენელი არ უნდა იყოს გადაწყვეტილების მიმღებ ორგანოებში 40 %-ზე ქვემოთ.²⁹

გაეროს მდგრადი განვითარების მიზნები (SDGs)

2030 წლის დღის წესრიგი გლობალური ინსტრუმენტია, რომლის შესრულებაშიც ყველა ქვეყანა თანაბრად არის ჩართული. გაეროს მდგრადი განვითარების³⁰ ჩვიდმეტი მიზნიდან გენდერული თანასწორობის მიღწევა ერთ-ერთია, რომლის მიხედვით სახელმწიფომ უნდა იზრუნოს თანაბარი შესაძლებლობების შექმნაზე ქალებისა და კაცებისთვის.³¹ კერძოდ, მეხუთე მიზანი ითვალისწინებს გენდერული თანასწორობის მიღწევას, ასევე, ქალთა და გოგონათა გაძლიერებას და, თავის მხრივ, გლობალური ამოცანებისგან შედგება.³² 5.5 ამოცანა სახელმწიფოებს ავალდებულებს, ქალებს თანასწორი შესაძლებლობები შეუქმნან პოლიტიკურ, ეკონომიკურ და საზოგადოებრივ ცხოვრებაში სრული და ეფექტიანი მონაწილეობისთვის, ასევე, ლიდერობისთვის გადაწყვეტილებათა მიღების ყველა დონეზე.

საქართველოს მიერ ნაციონალიზებული ამოცანა³³ იმეორებს აღნიშნულ პრიორიტეტს. მისი შესრულების ინდიკატორად მოიაზრება შემდეგი მონაცემები:

27 იქვე.

28 გაერო, რეზოლუცია 1325, 2000. ხელმისაწვდომია ბმულზე:

<https://www2.unwomen.org/-/media/field%20office%20georgia/attachments/publications/2017/1325.pdf?la=ka&vs=5752>

29 ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტი, რეკომენდაცია (2003)3, 2003. ხელმისაწვდომია ბმულზე:

https://search.coe.int/cm/Pages/result_details.aspx?ObjectID=09000016805e0848

30 გაეროს გენერალურმა ასამბლეამ 2015 წლის სექტემბერში A/RES/70/1 რეზოლუციით მიიღო 2030-ის დღის წესრიგი მდგრადი განვითარებისთვის, რომელიც იმავე წლის ოქტომბერში შევიდა ძალაში. რეზოლუციაში გაიწერა მდგრადი განვითარების 17 მიზანი და 169 ამოცანა.

31 გენერალური ასამბლეა, გაეროს მდგრადი განვითარების მიზნები 2030, 2015. ხელმისაწვდომია ბმულზე:

https://www.un.org/en/development/desa/population/migration/generalassembly/docs/globalcompact/A_RES_70_1_E.pdf

32 მდგრადი განვითარების მე-5 მიზანი - გენდერული თანასწორობა. ხელმისაწვდომია ბმულზე:

<https://sdg.gov.ge/goals-details-inner/5>

33 მდგრადი განვითარების მიზნების ნაციონალიზაციისა და კოორდინაციის პროცესი, მდგრადი განვითარების მიზნების ეროვნული დოკუმენტის მიხედვით, 2015 წელს დაიწყო. მაღალ პოლიტიკურ დონეზე ამ პროცესის ხელმძღვანელობა/კოორდინაცია საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციას დაევა. კონსულტაციების შედეგად, ქვეყნის გამოწვევებისა და ეროვნული კონტექსტის გათვალისწინებით, გაეროს მდგრადი განვითარების ჩვიდმეტივე მიზანი და 93 ამოცანა ეროვნულ პრიორიტეტად განისაზღვრა. მდგრადი განვითარების მიზნებზე საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციამ მოამზადა ეროვნული დოკუმენტი, რომელიც სრულად ეყრდნობა გაერთიანებული ერების გენერალური ასამბლეის 2015 წლის 25 სექტემბრის A/RES/70/1 და 2017 წლის 7 ივლისის A/RES/71/313 რეზოლუციებს. თითოეული სექტორული ამოცანის შესრულება გაიწერა დროში და დადგინდა 201 ინდიკატორის საბაზისო და სამიზნე მაჩვენებლები (2030 წლისთვის). მდგრადი განვითარების მიზნების ნაციონალიზებული ამოცანები ხელმისაწვდომია ბმულზე: <https://georgia.un.org/ka/sdgs>

- ✓ პარლამენტსა და ადგილობრივ ხელისუფლებაში ქალთა მიერ დაკავებული ადგილების პროპორციული რაოდენობა (5.5.1);
- ✓ ხელმძღვანელ თანამდებობებზე ქალების პროპორციული რაოდენობა (5.5.2).

ეროვნული ნებაყოფლობითი მიმოხილვა (VNR) SDG-თან მიმართებით საქართველომ 201634 და 2020 წელს წარადგინა.³⁵

გაეროს უნივერსალური პერიოდული მიმოხილვა

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ადამიანის უფლებათა საბჭოს მიერ დაფუძნებული უნივერსალური პერიოდული მიმოხილვა (UPR) უნიკალური მექანიზმია, რომლის ფარგლებშიც გაეროს ყველა წევრ სახელმწიფოში 4-5 წელიწადში ერთხელ განიხილება ადამიანის უფლებათა დაცვის კუთხით არსებული მდგომარეობა.

საქართველომ ამ პერიოდისთვის უნივერსალური პერიოდული მიმოხილვის მესამე ციკლის ანგარიში წარადგინა. ანგარიშის პასუხად, 2021 წლის 26 იანვარს გაეროს წევრმა ქვეყნებმა საქართველოს რეკომენდაციები გაუზიარეს ადამიანის უფლებათა დაცვის მდგომარეობის გასაუმჯობესებლად.³⁶ თუმცა მანამდე საქართველოს კიდევ ორი ანგარიში აქვს წარდგენილი (2010 და 2015 წლებში). მათი განხილვის შედეგად, სამუშაო ჯგუფმა არაერთი რეკომენდაცია შეიმუშავა, მათ შორის, აღსანიშნავია რეკომენდაციები, რომლებიც ეხება გენდერულ თანასწორობასა და პოლიტიკაში ქალთა მონაწილეობის გაძლიერებას.³⁷ საქართველომ აიღო ვალდებულება მათ შესასრულებლად. წევრი სახელმწიფოები მიესალმებიან გადადგმულ ნაბიჯებს, თუმცა საქართველოს მოუწოდებენ, ძალისხმევას გაძლიერებას გენდერული თანასწორობისა და ქალთა უფლებრივი მდგომარეობის გასაუმჯობესებლად, მათ შორის, პოლიტიკური უფლებების კუთხით.³⁸

ამ მხრივ, ასევე აღსანიშნავია საპარლამენტაშორისო კავშირის (IPU)³⁹ მიმოხილვა პოლიტიკაში გენდერული თანასწორობის შესახებ - „ქალები პარლამენტში: 1995-2020.“ დოკუმენტში საქართველო იმ ევროპული ქვეყნების სიაშია, რომელთა ეროვნულ პარლამენტებში ქალთა წარმომადგენლობა 20% ან ნაკლებია.⁴⁰

2.2. ეროვნული კანონმდებლობა

გენდერული თანასწორობისა და პოლიტიკაში ქალთა მონაწილეობის (აქტიური და პასიური საარჩევნო უფლების) გარანტიებს ადგენს: საქართველოს კონსტიტუცია, კანონი გენდერული თანასწორობის შესახებ და საქართველოს საარჩევნო კოდექსი.

ქალთა უფლებებზე მომუშავე ორგანიზაციებისა და ქალთა პოლიტიკური მონაწილეობის სამუშაო ჯგუფის⁴¹ აქტიური ჩართულობით, 2017 წლის საკონსტიტუციო რეფორმის შედეგად, საქართველოს

34 საქართველო იყო იმ პირველ ოცდაორ ქვეყანას შორის, რომლებმაც წარმოადგინეს ნებაყოფლობითი ეროვნული მიმოხილვა (VNR) მდგრადი განვითარების მიზნების მისაღწევად 2016 წლის ივლისში, მდგრადი განვითარების მაღალი დონის პოლიტიკურ ფორუმზე. ნებაყოფლობითი ეროვნული მიმოხილვის (VNR) ამსახველი ანგარიში, 2016. ხელმისაწვდომია ბმულზე: <https://sdg.gov.ge/text-page/46>

35 ნებაყოფლობითი ეროვნული მიმოხილვის (VNR) ამსახველი ანგარიში, 2020. ხელმისაწვდომია ბმულზე: <https://sdg.gov.ge/text-page/46>

36 ღია საზოგადოების ფონდი, რა რეკომენდაციებით მიმართეს გაეროს წევრმა სახელმწიფოებმა საქართველოს უნივერსალური პერიოდული მიმოხილვის მესამე ციკლის ფარგლებში? 2021. ხელმისაწვდომია ბმულზე: <https://osgf.ge/ra-rekomendaciebit-mimartes-gaeros-wevrma-sakhelmwifoebma-saqartvelos-universaluri-perioduli-mimokhil-vis-mesame-ciklis-farglebshi/>

37 გაერო, უნივერსალური პერიოდული მიმოხილვა - საქართველო, 2011, 2015, 2021. ხელმისაწვდომია ბმულზე: <https://www.ohchr.org/en/hr-bodies/upr/ge-index>

38 გაერო, უნივერსალური ადამიანის უფლებათა ინდექსი - საქართველო. ხელმისაწვდომია ბმულზე: <https://uhri.ohchr.org/en/countries>

39 საპარლამენტაშორისო კავშირი (IPU) არის ეროვნული პარლამენტების გლობალური ორგანიზაცია, რომელიც მუშაობს მშვიდობის დასაცავად და დემოკრატიული ცვლილებებისათვის, პოლიტიკური დიალოგის გზით. ორგანიზაციის შესახებ ინფორმაცია ხელმისაწვდომია ბმულზე: <https://www.ipu.org/>

40 საპარლამენტაშორისო კავშირი (IPU), ქალები პარლამენტში: 1995-2020 - 25 წლის მიმოხილვა, 2020. ხელმისაწვდომია ბმულზე: <https://www.ipu.org/resources/publications/reports/2020-03/women-in-parliament-1995-2020-25-years-in-review>

41 ქალთა პოლიტიკური მონაწილეობის სამუშაო ჯგუფი 2014 წლის მარტში ჩამოყალიბდა. მისი მიზანია ქალთა პოლიტიკაში მონაწილეობის გაზრდის ხელშეწყობა, მათ შორის, სავალდებულო გენდერული კვების ადვოკატირების გზით. ჯგუფი 20-ზე მეტ ადგილობრივ და საერთაშორისო ორგანიზაციას აერთიანებს.

კონსტიტუციაში გაცხადდა არსებითი თანასწორობის იდეა. კონსტიტუციური პრინციპით განისაზღვრა, რომ სახელმწიფო უზრუნველყოფს თანაბარ უფლებებსა და შესაძლებლობებს კაცებისა და ქალებისთვის; ასევე, იღებს განსაკუთრებულ ზომებს კაცებისა და ქალების არსებითი თანასწორობის უზრუნველსაყოფად და უთანასწორობის აღმოსაფხვრელად.⁴²

გარდა კონსტიტუციისა, თანასწორი საარჩევნო უფლებების გარანტიები დაცულია გენდერული თანასწორობის შესახებ კანონშიც⁴³, რომლის მიზანია, არ დაუშვას დისკრიმინაცია საზოგადოებრივი ცხოვრების არცერთ სფეროში, სათანადო პირობები შეუქმნას ქალსა და კაცს თანასწორი უფლებების, თავისუფლებებისა და შესაძლებლობების რეალიზაციისათვის, ხელი შეუწყოს დისკრიმინაციის აცილებასა და აღმოფხვრას (მუხლი 2). კერძოდ, მუხლი 11 - თანასწორი საარჩევნო უფლებების გარანტიები - ამბობს:

„1. ყველას აქვს უფლება, მონაწილეობა მიიღოს აჩვენებში თანასწორი პირობებით, დისკრიმინაციის გახეშე.

2. წახმომადგენლობით ოჩგანოში აჩვენის უფლების ხეაღიზაციისას უზრუნველყოფილი უნდა იქნას ოჩივე სქესის პიხთა თანასწორი მონაწილეობის შესაძლებლობა.

3. ქალები და მამაკაცები შეიძლება აჩვენე იქნენ თანასწორი პიხობებით, დისკრიმინაციის გახეშე.“⁴⁴

საქართველოს კონსტიტუციასა და გენდერული თანასწორობის შესახებ კანონში გარანტიების მიუხედავად, არსებითი მნიშვნელობა შეიძინა ქმედითი მექანიზმის - სავალდებულო გენდერული კვოტის შემოღებამ, რომელიც აღმოფხვრიდა პოლიტიკაში უთანასწორობას და არსებითი თანასწორობის კონსტიტუციურ პრინციპს ქმედითად აღასრულებდა. შესაბამისად, მიზნის მისაღწევად, 2020 წლის საარჩევნო რეფორმის ფარგლებში, შეიცვალა საარჩევნო სისტემა და დადგინდა სავალდებულო გენდერული კვოტა - 2020 წლის საქართველოს პარლამენტის არჩევნებისთვის პროპორციული სიის ყოველ ოთხეულში ერთი პირი მაინც უნდა იყოს განსხვავებული სქესის. პარლამენტი შედგება 120 პროპორციული და 30 მაჟორიტარული საარჩევნო სისტემით არჩეული დეპუტატისაგან⁴⁵, შესაბამისად, პროცენტულად სიაში გენდერული კვოტა 25%-იანი პროპორციით დადგინდა. გარდა სავალდებულო კვოტისა, მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ კანონში განისაზღვრა „წამახალისებელი ზომა“ 2028 წლამდე არჩევნებზე პარტიულ სიაში ყოველ სამეულში ერთი განსხვავებული სქესის წარმომადგენლის დასახელებისთვის.

უფრო კონკრეტულად კი, საქართველოს საარჩევნო კოდექსის 203-ე მუხლის მიხედვით, ქვეყნის საპარლამენტო არჩევნებისთვის სავალდებულო გენდერული კვოტა დადგინდა მზარდი პროცენტული მაჩვენებლით:

საქართველოს პარლამენტის 2020 წლის, ასევე, 2024 წლის 26 ოქტომბრისა და მომდევნო - 2028 წლამდე ჩასატარებელი საპარლამენტო არჩევნებისათვის პარტიული სიის შედგენის წესს განსაზღვრავს საარჩევნო სუბიექტი, იმგვარად, რომ ცესკოს თავმჯდომარისთვის წარდგენილი პარტიული სიის ყოველ ოთხეულში ერთი პირი მაინც იყოს განსხვავებული სქესის წარმომადგენელი.⁴⁶

საქართველოს პარლამენტის 2028 წლის 28 ოქტომბრის არჩევნებისა და მომდევნო - 2032 წლამდე ჩასატარებელი საპარლამენტო არჩევნებისთვის პარტიული სიის შედგენის წესს განსაზღვრავს პოლიტიკური პარტია, იმგვარად, რომ ცესკოს თავმჯდომარისათვის წარდგენილი პარტიული სიის ყოველ სამეულში ერთი პირი მაინც იყოს განსხვავებული სქესის წარმომადგენელი.

42 საქართველოს კონსტიტუცია, მუხლი 11, 1995. ხელმისაწვდომია ბმულზე: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/30346?publication=36>

43 საქართველოს კანონი გენდერული თანასწორობის შესახებ, 2010. ხელმისაწვდომია ბმულზე: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/91624?publication=9>

44 იქვე, მუხლი 11.

45 საქართველოს კონსტიტუციის მიხედვით (მუხლი 37. პარლამენტის არჩევნები), 2024 წლის საქართველოს პარლამენტის არჩევნებისთვის საარჩევნო სისტემა სრულად პროპორციულზე გადადის: პარლამენტი შედგება საყოველთაო, თავისუფალი, თანასწორი და პირდაპირი საარჩევნო უფლების საფუძველზე, ფარული კენჭისყრით, 4 წლის ვადით, ერთიან მრავალმანდატიან საარჩევნო ოლქში პროპორციული სისტემით არჩეული 150 პარლამენტის წევრისაგან.

46 ძალადაკარგულად იქნა ცნობილი 203-ე მუხლის მე-2 პუნქტის პირველი წინადადების ის ნორმატიული შინაარსი, რომელიც ადგენს, რომ საქართველოს პარლამენტის 2024 წლის 26 ოქტომბრის არჩევნებამდე ჩასატარებელი საქართველოს პარლამენტის არჩევნებისათვის საარჩევნო სიის ყოველ ოთხეულში ერთი პირი მაინც უნდა იყოს მამაკაცი - საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2020 წლის 25 სექტემბრის გადაწყვეტილება №23/3/1526 - ვებგვერდი, 29.09.2020.

2028 წლამდე ჩასატარებელი მუნიციპალიტეტის ორგანოთა საერთო არჩევნებისთვის პარტიული სიის შედგენის წესს განსაზღვრავს პარტია, იმგვარად, რომ წარდგენილ სიაში ყოველი სამი კანდიდატიდან ერთი მაინც იყოს განსხვავებული სქესის წარმომადგენელი.

კანონმდებელმა შემოიღო ხარვეზის დადგენის წესი იმ შემთხვევისთვის, თუ საარჩევნო რეგისტრაციისას არ იქნება დაცული გენდერული კვოტის პრინციპი. კერძოდ, როგორც საპარლამენტო, ასევე თვითმმართველობის არჩევნებისთვის ცესკოს/შესაბამისი საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარეს პოლიტიკურმა პარტიამ საარჩევნო სია უნდა წარუდგინოს კენჭისყრამდე არაუგვიანეს 30-ე დღისა. თუ მასში არ არის დაცული არჩევნებისთვის დადგენილი სქესთა შორის ბალანსი, პარტიას უბრუნდება სია და ხარვეზის აღმოსაფხვრელად ეძლევა 3 დღის ვადა. თუ ხარვეზი არ აღმოიფხვრება, პარტიული სია რეგისტრაციაში არ გატარდება.

საარჩევნო კოდექსში აისახა ადგილმონაცვლეობისა და მანდატის გაუქმების პრინციპიც. კერძოდ, თუ პროპორციული საარჩევნო სისტემით არჩეულ პარლამენტის წევრს ან მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი ორგანოს - საკრებულოს წევრს ვადად შეუწყდება წევრის უფლებამოსილება, მის ადგილს იკავებს იმავე სქესის წარმომადგენელი. თუ წარდგენილ პარტიულ სიაში იმავე სქესის წევრობის კანდიდატი აღარ არის, მანდატი უქმდება.

მანდატის გაუქმების მექანიზმი საარჩევნო კოდექსში მხოლოდ 2020 საპარლამენტო არჩევნების შემდგომ აისახა, როცა შეიქმნა გენდერული კვოტის პრინციპის დარღვევის პრეცედენტი. 2021 წელს, ქალთა პოლიტიკური მონაწილეობის სამუშაო ჯგუფის მიერ შემუშავებული რეკომენდაციით, საარჩევნო კოდექსში შევიდა ცვლილება, რომლის მიხედვითაც, თუ სიაში იმავე სქესის წარმომადგენელი აღარ არის, რომელმაც მიიღო მანდატი, ეს უკანასკნელი უქმდება და არ გადადის სიით მომდევნო, განსხვავებული სქესის წარმომადგენელზე.⁴⁷

კანონმდებელმა ასევე დაადგინა, რომ საარჩევნო სუბიექტი უფლებამოსილია, 2024 წელს და 2028 წლამდე ჩასატარებელი საპარლამენტო არჩევნებისთვის ცესკოს თავმჯდომარეს წარუდგინოს პარტიული სია, რომლის ყოველ სამეულში ერთი პირი მაინც იქნება განსხვავებული სქესის წარმომადგენელი. ასეთ შემთხვევაში, საარჩევნო სუბიექტი მიიღებს მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ კანონით გათვალისწინებულ დამატებით დაფინანსებას.⁴⁸ მართლაც, მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ კანონის 39¹ მუხლი განსაზღვრავს წამახალისებელ მექანიზმს - 30%-იან დანამატს საბიუჯეტო დაფინანსებაზე, თუ პარტია გამოიჩენს ინიციატივას და ერთ განსხვავებული სქესის კანდიდატს სიის ყოველ სამეულში ჩასვამს. აღნიშნული დანამატი პოლიტიკურმა პარტიამ უნდა გამოიყენოს სტრუქტურული ერთეულის - ქალთა ორგანიზაციის საქმიანობისთვის.⁴⁹

2.3. სასამართლო გადაწყვეტილებები

სავალდებულო გენდერული კვოტის პრინციპის საარჩევნო კოდექსში ასახვიდან რამდენიმე თვეში, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოში საკანონმდებლო ცვლილებები გაასაჩივრეს მოქალაქეთა პოლიტიკურმა გაერთიანებამ „ახალი პოლიტიკური ცენტრი“⁵⁰ და პარტიამ „ევროპული საქართველო - მოძრაობა თავისუფლებისათვის.“⁵¹

პოლიტიკური პარტიების წარმომადგენელთა განმარტებით, სავალდებულო გენდერული კვოტის დაწესებით სახელმწიფო უხეშად ერევა პარტიული სიების შედგენის პროცესში და გამორიცხავს მისი ფორმირების შესაძლებლობას თავისუფალ და კონკურენტულ გარემოში. თუმცა, საკონსტიტუციო სასამართლომ არ გაითვალისწინა მხარეთა არგუმენტაცია, რომ სავალდებულო საარჩევნო გენდერული კვოტის დაწესებით იზღუდება საქართველოს კონსტიტუციით დადგენილი პოლიტიკური პარტიების თანასწორობა, საარჩევნო და თანასწორობის უფლებები. ამის მიუხედავად,

47 ნეტგაზეთი, ორმა პარტიამ კვოტირებას გვერდი აუარა, სად არის შავი ხვრელი? 2021. ხელმისაწვდომია ბმულზე: <https://netgazeti.ge/news/537787/>

48 საქართველოს ორგანული კანონი მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ, 1997. ხელმისაწვდომია ბმულზე: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/28324?publication=35>

49 იქვე, მუხლი 39¹.

50 კონსტიტუციური სარჩელი (N1526), 2020. ხელმისაწვდომია ბმულზე: <https://www.constcourt.ge/ka/judicial-acts?legal=9849>

51 კონსტიტუციური სარჩელი (N1647), 2021. ხელმისაწვდომია ბმულზე: <https://www.constcourt.ge/ka/judicial-acts?legal=12412>

სასამართლო საქმეზე მსჯელობისას დაეყრდნო პროპორციულობის (თანაზომიერების), ლეგიტიმურობის, გამოსადეგობისა და აუცილებლობის პრინციპებს და ორივე დავის ფარგლებში ძალადაკარგულად ცნო 203-ე მუხლის გარკვეული დებულებები, კერძოდ⁵²:

1. მე-2 პუნქტის პირველი წინადადების ის ნორმატიული შინაარსი, რომელიც ადგენს, რომ საქართველოს პარლამენტის 2024 წლის 26 ოქტომბრის არჩევნებამდე ჩასატარებელი საქართველოს პარლამენტის არჩევნებისათვის საარჩევნო სიის ყოველ ოთხეულში ერთი პირი მაინც უნდა იყოს კაცი.
2. მე-8 პუნქტის ის ნორმატიული შინაარსი, რომელიც ადგენს, რომ 2028 წლამდე ჩასატარებელი მუნიციპალიტეტის ორგანოთა საერთო არჩევნებისათვის საარჩევნო სიის ყოველ სამეულში ერთი პირი მაინც უნდა იყოს კაცი.
3. მე-10 პუნქტის ის ნორმატიული შინაარსი, რომელიც პროპორციული საარჩევნო სისტემით არჩეული საკრებულოს წევრი კაცის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის შემთხვევაში მის ადგილმონაცვლედ ითვალისწინებს პარტიულ სიაში მყოფ მომდევნო კაცს.

შესაბამისად, საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებათა ანალიზის საფუძველზე, სავალდებულო გენდერული კვოტირების მექანიზმი განკუთვნილია ქალების გასაძლიერებლად და პოლიტიკაში გენდერული თანასწორობის მისაღწევად და არ ეხება კაცებს. ასევე, მანდატის ვადაზე ადრე შეწყვეტის შემთხვევაშიც, ადგილმონაცვლეობის პრინციპი არ გადადის სქესის მიხედვით: მოიაზრება, რომ მოქმედებს საარჩევნო კოდექსის პროპორციულ სიაში მომდევნო პრინციპი და მანდატი გადადის მომდევნო ნებისმიერი სქესის წარმომადგენელზე.

კონსტიტუციურ სარჩელზე სასამართლოს მეგობრის წერილობითი მოსაზრება წარადგინეს ქალთა პოლიტიკური მონაწილეობის სამუშაო ჯგუფის წევრებმა: ელენე ნიჟარაძემ, თათია ქინქლაძემ და ირმა პავლიაშვილმა (სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება/ISFED)⁵³ და სულხან სალაძემ (საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია/საია).⁵⁴

მათი აზრით, არსებითი თანასწორობა ნიშნავს ქალებისთვის, როგორც ჯგუფისთვის, წარმომადგენლობითი უფლებამოსილების რეალური შესაძლებლობის გაჩენას, კვოტირების სისტემა კი სწორედ ის მექანიზმია, რომელიც ამ პრობლემას სათანადოდ უპასუხებს. გენდერული თანასწორობის დაცვა წარმომადგენლობით ორგანოებში (საქართველოს მიერ ნაკისრი საერთაშორისო ვალდებულება) ის ლეგიტიმური მიზანია, რომელიც შეესაბამება დემოკრატიასა და სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპს და შეიძლება ზღუდავდეს პასიურ საარჩევნო უფლებას. აღსანიშნავია, რომ ქალებს აქვთ კაცებისგან განსხვავებული გამოცდილება და ხედვა რიგ საკითხებში. შესაბამისად, სახელმწიფო პოლიტიკა უფრო დასაბუთებული, დაბალანსებული, გამართლებული და ლეგიტიმური იქნება, თუკი მის შემუშავებაში ჩაერთვებიან ის ქალებიც, რომლებიც უშუალოდ შეჭახებიან კონკრეტულ გამოწვევებს. გენდერული მრავალფეროვნება ქმნის ხარისხიანი დისკუსიების წარმოების შესაძლებლობას, სადაც ორივე გენდერული ჯგუფის წარმომადგენელს აქვს საკუთარი უნიკალური გამოცდილების გაზიარების შესაძლებლობა. სავალდებულო გენდერული კვოტა კი სწორედ ამის გარანტორია.⁵⁵

52 სასამართლომ არსებითად განსახილველად არ მიიღო საკონსტიტუციო სარჩელი „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება ევროპული საქართველო - მოძრაობა თავისუფლებისთვის“, ნინო თოდრია, მართა ქარდავა, ნინო ორდენიძე და სხვები საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, თუმცა ძალადაკარგულად გამოაცხადა: ა) საქართველოს ორგანული კანონის საქართველოს საარჩევნო კოდექსის 203-ე მუხლის მე-8 პუნქტის ის ნორმატიული შინაარსი, რომელიც ადგენს, რომ 2028 წლამდე ჩასატარებელი მუნიციპალიტეტის ორგანოთა საერთო არჩევნებისათვის საარჩევნო სიის ყოველ სამეულში ერთი პირი მაინც უნდა იყოს მამაკაცი; და ბ) ამავე მუხლის მე-10 პუნქტის ის ნორმატიული შინაარსი, რომელიც პროპორციული საარჩევნო სისტემით არჩეული საკრებულოს წევრი მამაკაცის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის შემთხვევაში მის ადგილმონაცვლედ ითვალისწინებს პარტიულ სიაში მყოფ მომდევნო კაცს.

53 სამართლიანი არჩევნების (ISFED) ამიკუსი (ac1526), 2020. ხელმისაწვდომია ბმულზე: <https://www.constcourt.ge/ka/judicial-acts?legal=10121>

54 საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის (საია) ამიკუსი (ac1526), 2020. ხელმისაწვდომია ბმულზე: <https://www.constcourt.ge/ka/judicial-acts?legal=10120>

55 იქვე.

2.4. საერთაშორისო სადამკვირვებლო მისიების შეფასებები და რეკომენდაციები პოლიტიკაში ქალთა მონაწილეობის თვალსაზრისით

პოლიტიკაში გენდერული თანასწორობის შეფასების კუთხით, არსებითია საერთაშორისო სადამკვირვებლო ორგანიზაციების რეკომენდაციები და დასკვნები.

ამ მხრივ, საინტერესოა ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის მისიის შეფასებები და რეკომენდაციები საქართველოსადმი, რომლებიც გაიცა კონკრეტული საარჩევნო წლებისა და არჩევნების მიხედვით და შეეხება პოლიტიკაში ქალთა წარმომადგენლობის გაზრდასა და გადაწყვეტილების მიმღებ პოზიციებზე დასახელებას.⁵⁶

2017 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების შეფასებისას, ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის ანგარიშებსა და რეკომენდაციებში ვკითხულობთ, რომ სახელმწიფომ უნდა გაიზიაროს ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის კონვენციის (CEDAW) რეკომენდაცია და სავალდებულო გენდერული კვოტა დააწესოს:

„...ხელისუფლებამ პაჩიებისთვის სავადებულო გენდერული კვოტები უნდა დააწესოს, ხათა ხოგოხც ეხოვნუდ, ისე ადგილობრივ საკანონმდებლო ორგანოებში ქალთა წახმომადგენლობა მნიშვნელოვნად გაიზაჰდოს.“⁵⁷

საინტერესოა უკვე მოგვიანებით, საქართველოს საარჩევნო კოდექსში შეტანილ ცვლილებათა შემდგომი შეფასებებიც, 2020 საპარლამენტო და 2021 ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების ქრილში. ამ უკანასკნელის მიხედვით:

„დაბადანსებული გენდერული წახმომადგენლობის ხედშესაწყობად, შესაძლებელია, რომ პარტიებმა თავიანთი შიდა პოლიტიკა გააუმჯობესონ ქალთა ჩართულობის წასახალისებლად, მათ შორის, მაჟორიტარ კანდიდატებს შორის ქალების რიცხვის გაზრდით.“⁵⁸

„ყვედა დონეზე დაბადანსებული გენდერული წახმომადგენლობის ხედშეწყობის მიზნით, სასუხვედია, ხომ პაჩიებმა გააძდიეხონ შიდაპაჩიური პოლიტიკა, ხათა წაახადისონ ქალების მონაწილეობა და გაზაჰდონ ქალი კანდიდატების ხაოდელობა მაჟოხიღაჰ და მეხობის კანდიდატებს შოხის.“⁵⁹

ანგარიშებში ხაზგასმულია, რომ საქართველო იმ ძირითადი საერთაშორისო და რეგიონული ინსტრუმენტების ხელმომწერია, რომლებიც ეხება დემოკრატიული არჩევნების ჩატარებას. მათ შორისაა საერთაშორისო პაქტი სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ (1966), რომლითაც გენდერული თანასწორობა გარანტირებულია პოლიტიკაში, და კონვენცია ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ (1979).

ანგარიშებში ასევე აღნიშნულია, რომ საქართველოსადმი გაცემული რეკომენდაციები ემსახურება არჩევნების პროცესის გაუმჯობესებას, ასევე, სრულ შესაბამისობას ეუთოს წინაშე აღებულ და დემოკრატიულ არჩევნებთან დაკავშირებულ სხვა საერთაშორისო ვალდებულებებსა თუ სტანდარტებთან. თუმცა ისინი ჯერ კიდევ შეუსრულებელ რეკომენდაციებთან ერთად განიხილება⁶⁰ და სავალდებულოა შესასრულებლად.

56 ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის საქართველოსადმი გამოცემული საარჩევნო რეკომენდაციების ელექტრონული ბაზა. ხელმისაწვდომია ბმულზე: <https://paragraph25.odhr.pl/home-page-countries/georgia/>

57 ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის საერთაშორისო საარჩევნო სადამკვირვებლო მისია, საბოლოო ანგარიში, 2017 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების შეფასება, 2018. ხელმისაწვდომია ბმულზე: <https://www.osce.org/files/f/documents/f/a/375682.pdf>

58 ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის საერთაშორისო საარჩევნო სადამკვირვებლო მისია, საბოლოო ანგარიში, 2020 წლის საპარლამენტო არჩევნების შეფასება, 2021. ხელმისაწვდომია ბმულზე: <https://www.osce.org/files/f/documents/3/8/482640.pdf>

59 ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის საერთაშორისო საარჩევნო სადამკვირვებლო მისია, საბოლოო ანგარიში, 2021 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების შეფასება, 2022. ხელმისაწვდომია ბმულზე: <https://www.osce.org/files/f/documents/e/7/516627.pdf>

60 ეუთოს 1999 წლის სტამბოლის დოკუმენტის 25-ე პუნქტის მიხედვით, ეუთოს წევრმა სახელმწიფოებმა აიღეს ვალდებულება, რომ „დროულად გაითვალისწინებენ/მისდევენ დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის (ODIHR) შეფასებებსა და რეკომენდაციებს არჩევნების შესახებ“.

შეფასებებისა და რეკომენდაციების თვალსაზრისით, საინტერესოა ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტისა (NDI) და საერთაშორისო რესპუბლიკური ინსტიტუტის (IRI) ანგარიშები.

საერთაშორისო რესპუბლიკური ინსტიტუტი (IRI) თავის ანგარიშში დადებითად აფასებს საკონსტიტუციო ცვლილებებსა და 2020 წლის საარჩევნო კოდექსის რეფორმას, რითაც გაუმჯობესდა საარჩევნო სისტემა და გაჩნდა რეალური ცვლილებების შესაძლებლობა. მთავარი მიზანია პარლამენტში პოლიტიკური კონკურენციისა და გენდერული მრავალფეროვნების გაზრდა ათწლეულების განმავლობაში ერთპარტიული მმართველობის შემდეგ, თუმცა რეკომენდაციებში აღნიშნავს, რომ:

„საქართველოში ქაღათა პოლიტიკური მონაწილეობის ისტორიული მნიშვნელობისა და გზადიციის, მიღებული გენდერული კვების ანაღიზის მიხედვით, აუცილებელია, პოლიტიკურმა პარტიებმა და სახელმწიფომ მიიღონ ზომები, რაც უზრუნველყოფს ქალი წევრებისათვის პოლიტიკური პარტიების რესურსების სამართლიანად განაწილებას, პირადი და ოჯახური ცხოვრების უფლების სრულ დაცვას და სათანადო რეაგირებას, მათ შორის, სექსუალურ შევიწროებაზე, ასევე, დაცვის მექანიზმის ხელშეწყობას. აუცილებელია ქალთა მუდმივი მხარდაჭერა, რაც გააუმჯობესებს მმართველობის ხარისხს ყველა მოქალაქისთვის.“⁶¹

ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტის (NDI) შეფასებით, პარტიებმა უნდა გადახედონ გენდერული კვების მოქმედების ვადას. გენდერული თანასწორობის დამყარება გრძელვადიანი პროცესია, რომლის ვადა არ უნდა სრულდებოდეს კვოტირების დაწყებიდან ასეთ მოკლე პერიოდში.⁶²

2.5. სახელმწიფო ინსტიტუტური მექანიზმები

საქართველოს კანონი გენდერული თანასწორობის შესახებ⁶³ განსაზღვრავს გარანტიებსა და დაცვის მექანიზმებს, რათა საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში გამოირიცხოს დისკრიმინაცია, ასევე, შეიქმნას სათანადო პირობები ქალისა და კაცის თანასწორი უფლებების, თავისუფლებებისა და შესაძლებლობების რეალიზაციისათვის. ეს მექანიზმები კოორდინირებულად ქმნიან გენდერულ პოლიტიკას, ზედამხედველობას/მონიტორინგს უწევენ გენდერული თანასწორობის დაცვას და რეაგირებენ დარღვევის ფაქტებზე, რაც უზრუნველყოფს გენდერულ თანასწორობას ქვეყანაში.⁶⁴

სახელმწიფო ხელს უწყობს ქალისა და კაცის თანასწორ უფლებებს პოლიტიკურ, ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ ცხოვრებაში, ასევე, ადგენს გენდერული თანასწორობის დაცვის ეროვნულ (ცენტრალურ, რეგიონულ, მუნიციპალურ დონეებზე) მექანიზმებს, რომლებიც მოიაზრებს შემდეგ ინსტიტუტებს:

ეხოვნულ დონეზე:

- ✓ გენდერული თანასწორობის მუდმივმოქმედი საპარლამენტო საბჭო;
- ✓ გენდერული თანასწორობის, ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის საკითხებზე მომუშავე უწყებათაშორისი კომისია;
- ✓ სახალხო დამცველის აპარატი.

ხევიონულ დონეზე:

- ✓ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს გენდერული თანასწორობის საბჭო;

მუნიციპალური დონეზე:

- ✓ გენდერული თანასწორობის მუნიციპალური საბჭოები;
- ✓ მერიაში გენდერული თანასწორობის საკითხებზე პასუხისმგებელი საჯარო მოსამსახურე.

61 საერთაშორისო რესპუბლიკური ინსტიტუტი (IRI), არჩევნების ტექნიკური შეფასების საერთაშორისო მისია: 2020 წლის საპარლამენტო არჩევნები, 2020. ხელმისაწვდომია ბმულზე: <https://drive.google.com/file/d/15y8U9TWmOK-IOIcgaGp3u03vWuuuP9c5/view>

62 ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტი (NDI), ანგარიში 2020 წლის საპარლამენტო არჩევნების შესახებ, 2020. ხელმისაწვდომია ბმულზე: https://www.ndi.org/sites/default/files/NDI%20Georgia%20-%20VEAT%20Statement%20Nov%202020%20-%20GEO%20-%20FINAL_0.pdf

63 საქართველოს კანონი გენდერული თანასწორობის შესახებ, 2010. ხელმისაწვდომია ბმულზე: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/91624?publication=9>

64 იქვე.

გენდერული თანასწორობის მუდმივმოქმედი საპარლამენტო საბჭო

საბჭო საქართველოს პარლამენტს ხელს უწყობს შემდეგ პროცესებში: გენდერულ სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის ძირითად მიმართულებათა განსაზღვრა, გენდერული თანასწორობის სფეროში საკანონმდებლო ბაზის შექმნა და განვითარება, შესაბამისი სტრატეგიის განხილვა და დამტკიცება გენდერული თანასწორობის საკითხებზე, საქართველოს პარლამენტის წინაშე ანგარიშვალდებულ ორგანოთა საქმიანობის კონტროლი, გენდერული თანასწორობის შესახებ ცნობიერების ამაღლება და ქალთა გაძლიერების მხარდამჭერ ღონისძიებათა გატარება.⁶⁵

გენდერული თანასწორობის, ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის საკითხებზე მომუშავე უწყებათაშორისი კომისია

გენდერულ და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა საკითხებზე სისტემური და კოორდინირებული მუშაობისათვის, საქართველოს მთავრობა ქმნის გენდერული თანასწორობის, ასევე, ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის საკითხებზე მომუშავე უწყებათაშორის კომისიას.

კომისიის ამოცანებია: მუშაობა გენდერული თანასწორობის, ასევე, ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის საკითხებზე; შესაბამისი სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმების შემუშავება, მათ შორის, ისეთი დოკუმენტების შესასრულებლად, როგორცაა გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუციები „ქალებზე, მშვიდობასა და უსაფრთხოებაზე“. კომისიის ფუნქციაა სახელმწიფო უწყებებთან კოორდინაცია და პოლიტიკის დოკუმენტების შემუშავება ინკლუზიური პროცესის წარმართვით.⁶⁶

სახალხო დამცველის აპარატი

საქართველოს სახალხო დამცველი, თავისი კომპეტენციის ფარგლებში, მონიტორინგს უწევს გენდერული თანასწორობის დაცვას და რეაგირებს შესაბამის დარღვევებზე. ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის სახელმწიფოებრივი გარანტიების უზრუნველსაყოფად. სახალხო დამცველი ზედამხედველობს სახელმწიფო ხელისუფლებისა და მუნიციპალიტეტის ორგანოებს, საჯარო დაწესებულებებსა და თანამდებობის პირებს, რათა საქართველოს ტერიტორიის ფარგლებსა და მის იურისდიქციაში მყოფი ყველა პირისთვის იყოს დაცული სახელმწიფოს მიერ აღიარებული უფლებები და თავისუფლებები, განურჩევლად ისეთი მახასიათებლებისა, როგორცაა: რასა, კანის ფერი, სქესი, ენა, რელიგია, პოლიტიკური ან სხვა შეხედულება, ეროვნული, ეთნიკური და სოციალური კუთვნილება, წარმოშობა, ქონებრივი და წოდებრივი მდგომარეობა, საცხოვრებელი ადგილი და. ა.შ.

დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოსაფხვრელად და თანასწორობის უზრუნველსაყოფად, სახალხო დამცველი ზედამხედველობს ადმინისტრაციული, სახელმწიფო ხელისუფლებისა და მუნიციპალური ორგანოების, ასევე, საჯარო დაწესებულებებისა და თანამდებობის პირების საქმიანობას, აგრეთვე აკვირდება ფიზიკურ თუ იურიდიულ პირებს, რათა გამოავლინოს პირდაპირი და ირიბი დისკრიმინაციის ფაქტები და გაატაროს ღონისძიებები მათი შედეგების აღმოსაფხვრელად.⁶⁷

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს გენდერული თანასწორობის საბჭო

ეს უწყება შეიქმნა გენდერულ საკითხებზე სისტემური მუშაობისათვის, ასევე, გენდერული თანასწორობის მუდმივმოქმედ საპარლამენტო საბჭოსთან კოორდინირებული საქმიანობისთვის.

საბჭო ხელს უწყობს უმაღლეს საბჭოს ისეთ პროცესებში, როგორცაა: გენდერული თანასწორობის სფეროში ძირითად მიმართულებათა განსაზღვრა, შესაბამისი საკანონმდებლო ბაზის შექმნა და განვითარება, ამ მიმართულებით სამოქმედო გეგმის განხილვა და დასამტკიცებლად მომზადება, გენდერულ თანასწორობაზე ცნობიერების ამაღლება და ქალთა გაძლიერება მხარდამჭერი ღონისძიებებით.⁶⁸

65 გენდერული თანასწორობის მუდმივმოქმედი საპარლამენტო საბჭოს დებულება, დამტკიცებულია საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის 2017 წლის ბრძანებით. ხელმისაწვდომია ბმულზე: <https://web-api.parliament.ge/storage/files/shares/Gender/genderuli-debuleba.pdf>

66 საქართველოს მთავრობის დადგენილება №2286, გენდერული თანასწორობის, ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის საკითხებზე მომუშავე უწყებათაშორისი კომისიის შექმნისა და დებულების დამტკიცების შესახებ, 2017. ხელმისაწვდომია ბმულზე: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/3698004?publication=4>

67 საქართველოს ორგანული კანონი სახალხო დამცველის შესახებ, 1996. ხელმისაწვდომია ბმულზე: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/33034?publication=27>

68 აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს გენდერული თანასწორობის საბჭოს დებულება, 2021. ხელმისაწვდომია ბმულზე: <https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/5113997?publication=0>

გენდერული თანასწორობის მუნიციპალური საბჭოები და მერიაში გენდერული თანასწორობის საკითხებზე პასუხისმგებელი საჯარო მოსამსახურე

თვითმმართველობათა საკრებულოები გენდერულ საკითხებზე სისტემური მუშაობისათვის ქმნიან გენდერული თანასწორობის მუნიციპალურ საბჭოებს. ასევე, მათი ფუნქციაა კოორდინირებული მუშაობა გენდერული თანასწორობის მუდმივმოქმედ საპარლამენტო საბჭოსთან. მუნიციპალიტეტის მერი განსაზღვრავს გენდერული თანასწორობის საკითხებზე პასუხისმგებელ საჯარო მოსამსახურეს, რომლის ფუნქციაცაა ამ საკითხების შესწავლა მუნიციპალიტეტში, შესაბამისი საქმიანობის დაგეგმვა და ღონისძიებათა კოორდინაცია.⁶⁹

გენდერული თანასწორობის მუნიციპალური მექანიზმების ჩართულობით, თვითმმართველობის ბიუჯეტი, სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პრიორიტეტები, მუნიციპალური პროგრამები და გეგმები იმგვარად უნდა შემუშავდეს, რომ გამოირიცხოს ნებისმიერი ფორმის დისკრიმინაცია.

გენდერული თანასწორობის ეროვნულ მექანიზმთა მანდატისა და ფუნქციების ანალიზი აჩვენებს, რომ მათ კრიტიკული მნიშვნელობა აქვთ გენდერული თანასწორობის მიღწევასა და ქალთა უფლებების რეალიზებაში (საზოგადოებრივი და კერძო ცხოვრების ყველა სფეროში). ეს ინსტიტუციური მექანიზმები, კანონმდებლობის შესაბამისად, კოორდინაციას უწევენ გენდერულ პოლიტიკას ეროვნულ, რეგიონულ და მუნიციპალურ დონეზე, ამავედროულად, ავითარებენ გენდერული თანასწორობის პერსპექტივას საზოგადოებრივ და პოლიტიკურ ცხოვრებაში. ამ ფუნქციების ქმედითი შესრულება შესაძლებელია სწორი სტრუქტურით, სათანადო რესურსების მობილიზებითა და ეფექტიანი მუშაობით.

2021 წელს ჩატარებული კვლევა საქართველოში გენდერული თანასწორობის შესაფასებლად აჩვენებს, რომ გენდერული თანასწორობის შესახებ კანონში არაფერია ნათქვამი გენდერულ მენისტრიმინგსა და აღნიშნულ ინსტიტუციურ მექანიზმთა მანდატზე ამ მიმართულებით. ასევე არ ჩანს, რა ვალდებულება ეკისრებათ მათ გენდერული მენისტრიმინგისთვის შესაბამისი ინსტიტუციური ხედვის, მიზნებისა და ამოცანების ჩამოყალიბებაში, ასევე, მათ შესრულებაში, შეფასებასა და მონიტორინგში. მაშასადამე, კანონი განსაზღვრავს ინსტიტუციური მექანიზმების არსებობას, მაგრამ არ აკონკრეტებს, თუ რა ინსტრუმენტები უნდა გამოიყენონ გენდერული პოლიტიკის მხარდასაჭერად სამთავრობო, რეგიონულ და მუნიციპალურ დონეზე.⁷⁰

გენდერული თანასწორობის ინსტიტუციური მექანიზმების (გენდერული თანასწორობის, ქალთა მიმართ ძალადობის და ოჯახში ძალადობის საკითხებზე მომუშავე უწყებათაშორისი კომისია და გენდერული თანასწორობის მუდმივმოქმედი საპარლამენტო საბჭო) მანდატსა და მუშაობას, საერთაშორისო ინდიკატორების მიხედვით, აფასებს სახალხო დამცველის ეგიდით ჩატარებული კვლევა „გენდერული თანასწორობის ინსტიტუციური მექანიზმების ეფექტიანობის შეფასება საქართველოში.“⁷¹

კვლევა აჩვენებს, რომ გენდერული თანასწორობის ეროვნული მექანიზმები კვლავ საჭიროებს ინსტიტუციურ გაძლიერებასა და მდგრად სტრუქტურას გამართული და სისტემური მუშაობისთვის. კითხვებს ბადებს ისიც, თუ რამდენად ხედავს აღმასრულებელი და საკანონმდებლო რგოლი უწყებათაშორისი კომისიისა და გენდერული თანასწორობის მუდმივმოქმედი საპარლამენტო საბჭოს როლს პოლიტიკის განსაზღვრასა და კოორდინაციაში; რა შესაძლებლობები და სტატუსი აქვთ მათ, რომ გავლენა მოახდინონ სახელმწიფოებრივი პოლიტიკის ჩამოყალიბებაზე. კვლევა აჩვენებს, რომ ამ ეტაპზე მექანიზმების როლი მეტწილად ვლინდება ადმინისტრაციულ მხარდაჭერასა და საკონსულტაციო ფუნქციებში და მათ შედარებით სუსტი გავლენა აქვთ პოლიტიკის განსაზღვრასა და დანერგვაზე. ინსტიტუციური მექანიზმების ეფექტიანი საქმიანობისთვის გამომწვევაა სათანადო ადამიანური და ფინანსური რესურსების სიმწირე, ასევე, გენდერულ მენისტრიმინგზე სახელმწიფო ხედვის არარსებობა.⁷²

69 საქართველოს კანონი გენდერული თანასწორობის შესახებ, 2010. ხელმისაწვდომია ბმულზე: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/91624?publication=9>

70 იქვე.

71 საქართველოს სახალხო დამცველი, სპეციალური ანგარიში „გენდერული თანასწორობის ინსტიტუციური მექანიზმების ეფექტიანობის შეფასება საქართველოში“, 2021. ხელმისაწვდომია ბმულზე: <https://www.ombudsman.ge/res/docs/2022022817262614843.pdf>

72 იქვე, გვ. 35.

III. საერთაშორისო სტანდარტები და კარგი პრაქტიკა

საკანონმდებლო ჩარჩოსა და პრაქტიკის ანალიზმა პროგრესი აჩვენა, თუმცა პროცესის განგრძობითობა და სავალდებულო გენდერული კვოტის ეფექტიანი აღსრულება საჭიროებს შესაბამისი კანონმდებლობის გადახედვას, ასევე, პოლიტიკურ პარტიებში შიდა დემოკრატიისა და ინსტიტუციური რეგულაციების პრაქტიკის განვითარებას. ამ მხრივ, საინტერესოა ადგილობრივი საზოგადოების მოთხოვნის, მსოფლიოს ახალი მიზნის (50/50) განხილვა.

3.1. საერთაშორისო სტანდარტები: ახალი მიზანი (50/50)

მნიშვნელოვანია საერთაშორისო ორგანიზაციების წვლილი პოლიტიკაში ქალთა მონაწილეობის გასაუმჯობესებლად მსოფლიოში.⁷³ ქალთა თანაბარი პოლიტიკური მონაწილეობა ბუნებრივი გზით ძნელად მიიღწევა და ამას ათეული წელი სჭირდება, რისი შესაძლებლობაც დღეს არ აქვს არცერთ სახელმწიფოს, მათ შორის, არც საქართველოს.⁷⁴

პროცესის დასაჩქარებლად და საუკუნეების განმავლობაში შექმნილი უთანასწორობის აღმოსაფხვრელად, ადამიანის უფლებებსა და ქალთა უფლებებზე მომუშავე აქტორების დღის წესრიგში დადგა ამოცანა, რომ გადაწყვეტილების მიმღები პირები დაერწმუნებინათ საკანონმდებლო დონეზე ჩარევის აუცილებლობაში, რაც გამოიხატებოდა სპეციალური მექანიზმების ამუშავებით.

სავალდებულო კვოტის არსი ასეთია: როცა არსებულ გენდერულ უთანასწორობას სხვადასხვა ფაქტორი განაპირობებს - პატრიარქალური საზოგადოება, ქალთა სოციალურ-ეკონომიკური პრობლემები, ან პოლიტიკურ პარტიებში შიდა დემოკრატიის დაბალი ხარისხი, რის გამოც შეუძლებელია ქალთა თანასწორი მონაწილეობა საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში, სპეციალური დროებითი ზომების გატარება ერთგვარი გამოსავალია უთანასწორობის აღმოსაფხვრელად. ამ გზით, შესაძლებელი ხდება არსებითი თანასწორობის მიღწევა და წარმომადგენლობით ორგანოებში იქმნება განსხვავებული სქესის წარმომადგენელთა კრიტიკული მასა (საერთაშორისო სტანდარტის მიხედვით - 40%).

2020 წლის მდგომარეობით, მსოფლიოში ქალთა საპარლამენტო წარმომადგენლობის საშუალო მაჩვენებელი, 1995 წელთან შედარებით (11.3%), ორჯერ გაიზარდა და 25% შეადგინა. საპარლამენტო საერთაშორისო კავშირის (IPU) ყოველწლიური ანგარიშის მიხედვით⁷⁵, რომელიც ათწლეულებია აკვირდება ქალთა მონაწილეობას მსოფლიო პარლამენტებში, პროგრესი სტაბილურად მიიღწევა ბოლო წლებში, თუმცა პროცესი უკიდურესად ნელა მიმდინარეობს და, დღევანდელი ტემპით, მსოფლიოს პარლამენტებში გენდერული თანასწორობის მიღწევას კიდევ მრავალი წელი დასჭირდება. ამიტომ, მსოფლიო ქვეყნები ახლა უკვე ახალი მიზნის დასახვაზე მსჯელობენ - ისეთი მექანიზმების შემუშავებაზე, რომ 2030 წლამდე საკანონმდებლო ორგანოში ქალთა წარმომადგენლობა 50%-მდე გაიზარდოს.

ბოლო წლებში საქართველოში ჩატარებული კვლევები ადასტურებს, რომ პოლიტიკაში გენდერული თანასწორობის ზრდა, მათ შორის, სავალდებულო გენდერული კვოტის გამოყენებით, საზოგადოების დაკვეთაა. შედეგების მიხედვით, ამომრჩეველთა უმრავლესობა ემხრობა პოლიტიკაში ქალთა მონაწილეობის გაზრდას. მაგალითად, ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტის (NDI) 2019 წლის ივლისის საზოგადოებრივი აზრის კვლევის მიხედვით, 65% უჭერს მხარს სავალდებულო გენდერულ კვოტირებას.⁷⁶ მეტიც, საერთაშორისო რესპუბლიკური ინსტიტუტის (IRI) 2021 წლის წინასაარჩევნო საზოგადოებრივი აზრის კვლევის მიხედვით, 48% ემხრობა ქალთა მონაწილეობის ზრდას პოლიტიკაში. გამოკითხულთა აზრით, ქალებისთვის მეტად დამახასიათებელია პოლიტიკოსთა თვისებები: მოლაპარაკებების წარმოებისა და მოსმენის უნარი, კომპრომისზე წასვლისა და კომუნიკაციის უნარი, ეთიკური ქცევა. ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია იმ ფონზე, რომ მოსახლეობის 61%-ის აზრით, ქვეყანაში იზრდება პოლიტიკური პოლარიზაცია, ხოლო 97%-ის პოზიციით, პოლარიზაცია დამლუპველია ქვეყნისთვის. ამასთან, მოსახლეობის დიდი ნაწილი მხარს უჭერს კონსტრუქციულ

73 გენდერული თანასწორობის მუდმივმოქმედი საპარლამენტო საბჭო, გენდერული თანასწორობა საქართველოში: ბარიერები და რეკომენდაციები, 2021. ხელმისაწვდომია ბმულზე: <https://bit.ly/3ppmlUJ>

74 საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია (საია), ქალები ქართულ პოლიტიკაში, 2017. ხელმისაწვდომია ბმულზე: <https://bit.ly/3PveTXN>

75 საპარლამენტო საერთაშორისო კავშირი (IPU), ქალები პარლამენტში: 1995-2020 - 25 წლის მიმოხილვა, 2020. ხელმისაწვდომია ბმულზე: <https://www.ipu.org/resources/publications/reports/2020-03/women-in-parliament-1995-2020-25-years-in-review>

76 ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტი (NDI), 2019 წლის ივლისის საზოგადოებრივი აზრის კვლევა. ხელმისაწვდომია ბმულზე: https://www.ndi.org/sites/default/files/NDI%20July%202019%20poll-Issues_GEO_For%20distribution_VF.pdf

პოლიტიკურ დიალოგსა და კონსენსუსზე დამყარებულ გადაწყვეტილებებს.⁷⁷ ამავე ორგანიზაციის (IRI-ის) მიერ 2022 წლის მარტში ჩატარებული კვლევის მიხედვით, 44% ემხრობა პოლიტიკაში ქალთა მონაწილეობის გაზრდას, ხოლო 22%-ს მიაჩნია, რომ იგივე რიცხვი უნდა დარჩეს.⁷⁸

ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტის (NDI) 2021 წლის საზოგადოების განწყობათა კვლევით, საქართველოში მოქალაქეები პარტიებისგან მოელიან ინკლუზიურობის საკითხებზე მუშაობას: მოსახლეობის, დაახლოებით, ნახევარი ემხრობა პარლამენტში ქალებისა და კაცების თანაბარ განაწილებას.⁷⁹

შესაბამისად, წარმომადგენლობით ორგანოებში გენდერული თანასწორობის მზარდი ტენდენციის შესანარჩუნებლად - რაც საზოგადოების მოთხოვნაცაა და საქართველოს მიერ ნაკისრი საერთაშორისო ვალდებულებაც - სასურველია საარჩევნო კოდექსის იმგვარი ცვლილება, რომ არჩევნებში პარტიული სიების წარდგენის დროებითი წესი განისაზღვროს საქართველოს კონსტიტუციით დადგენილი არსებითი თანასწორობის მიღწევამდე. პარალელურად, პოლიტიკურმა პარტიებმა იზრუნონ შიდა დემოკრატიის განვითარებასა და ადამიანის უფლებებზე, ასევე, გენდერულ თანასწორობაზე დაფუძნებული მიდგომის დამკვიდრებაზე.

დემოკრატიულ ქვეყნებში პოლიტიკური ცხოვრების განუყოფელი ნაწილია პოლიტიკური პარტიები. მეტიც, პოლიტიკური პარტია არის საერთო მსოფლმხედველობრივ და ორგანიზაციულ საფუძველზე შექმნილი მოქალაქეთა ნებაყოფლობითი, დამოუკიდებელი და რეგისტრირებული გაერთიანება⁸⁰, რომელიც, როგორც წესი, მიზნად ისახავს ხელისუფლებაში მოსვლას არჩევნების გზით და საკუთარი სამოქმედო პროგრამის გატარებას, ქვეყნის კონსტიტუციისა და საკანონმდებლო ჩარჩოს საფუძველზე.

პოლიტიკური პარტია, როგორც თავისუფალი, დემოკრატიული საზოგადოების აუცილებელი კონსტიტუციურ-სამართლებრივი ნაწილი, არჩევნების მეშვეობითა და კანონმდებლობით ნებადართული სხვა საშუალებებით მონაწილეობს მოქალაქეთა პოლიტიკური ნების ფორმირებასა და გამოხატვაში. პოლიტიკური პარტიების საქმიანობა ეფუძნება მათი თავისუფლების, თანასწორობის, გამჭვირვალობისა და შიდაპარტიული დემოკრატიის პრინციპებს.⁸¹

სტაბილური და ინსტიტუციურად გამართული პოლიტიკური პარტიები, ძლიერი შიდა დემოკრატიით, დადებით როლს ასრულებენ გენდერული თანასწორობის მიღწევაში. მათ მეტად აქვთ გააზრებული გენდერული თანასწორობა და ადამიანის უფლებებზე დაფუძნებული მიდგომით საქმიანობენ.

გენდერული უთანასწორობის აღმოფხვრის დროებითი მექანიზმია გენდერული კვოტა. საერთაშორისო სტანდარტების/კანონმდებლობის შესაბამისად, არსებობს სამი სახის კვოტა:

- ✓ ნებაყოფლობითი (იგივე პარტიული) კვოტა - პარტიები სიებში გენდერულ კვოტას ნებაყოფლობით ითვალისწინებენ;
- ✓ სავალდებულო (იგივე საკანონმდებლო) კვოტა - კონსტიტუცია ან კანონი პარტიებს ავალდებულებს, საარჩევნო სიების შედგენისას დაიცვან გენდერული ბალანსი;
- ✓ რეზერვირებული (შენახული) ადგილების კვოტა - ზოგიერთ ქვეყანაში საპარლამენტო ადგილების გარკვეული რაოდენობა დარეზერვებულია ქალებისთვის და არ შეიძლება სადავო გახადონ კაცებმა. ეს მეთოდი ხშირად გამოიყენება აფრიკასა და სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში.⁸²

77 საერთაშორისო რესპუბლიკური ინსტიტუტი (IRI), 2021 წლის წინასაარჩევნო საზოგადოებრივი აზრის კვლევა. ხელმისაწვდომია ბმულზე: https://www.iri.org/wp-content/uploads/2021/08/iri_poll_presentation_georgia_june_2021_public_release.pdf

78 საერთაშორისო რესპუბლიკური ინსტიტუტი (IRI), 2022 წლის მარტის საზოგადოებრივი აზრის კვლევა. ხელმისაწვდომია ბმულზე: https://www.iri.org/wp-content/uploads/2022/04/IRI-Poll-Presentation-Georgia-March2022_Final.pdf?fbclid=IwAR-0L5AfC5PJGbmPAfU4Axy9uLZ4hH0aGZp0lojSiVKexmiDBDN5JCwGrohl

79 ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტი (NDI), 2021 წლის თებერვლის საზოგადოებრივი აზრის კვლევა. ხელმისაწვდომია ბმულზე: https://www.ndi.org/sites/default/files/NDI%20Georgia_Public%20Opinion%20Poll_February%202021_GEO_Final.pdf

80 საქართველოს ორგანული კანონი მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანების შესახებ, მუხლი 1, 1997. ხელმისაწვდომია ბმულზე: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/28324?publication=35#!>

81 საქართველოს კონსტიტუცია, მუხლი 3, დემოკრატია, 1995. ხელმისაწვდომია ბმულზე: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/30346?publication=36>

82 საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია (საია), სავალდებულო გენდერული კვოტა საპარლამენტო არჩევნებისას ევროკავშირის წევრ ქვეყნებში, 2019. ხელმისაწვდომია ბმულზე: <https://www.gyla.ge/files/kvota.pdf>

3.2. საერთაშორისო კარგი პრაქტიკა

კვლევის მიზნებიდან გამომდინარე, განვიხილავთ ქვეყნებს, სადაც სავალდებულო გენდერული კვოტა დარეგულირებულია საკანონმდებლო დონეზე, ან მოქმედებს შიდაპარტიული ნებაყოფლობითი გენდერული კვოტა. სავალდებულო კვოტის ზოგადი განხილვისთვის შეირჩა პოლონეთი და ბელგია - ქვეყნები პროპორციული საარჩევნო სისტემით, ხოლო შიდაპარტიული კვოტის⁸³ მხრივ - პოლიტიკური სისტემით და კულტურით საინტერესო ქვეყნები: დიდი ბრიტანეთი და შვედეთი.⁸⁴

სავალდებულო გენდერული კვოტა: პოლონეთი და ბელგია

პოლონეთის სახელმწიფო მეთაურია პრეზიდენტი. საკანონმდებლო ფუნქცია აქვს სეიმსა და სენატს (პარლამენტი, რომელიც შედგება ორი პალატისგან), აღმასრულებელი ფუნქცია კი გადანაწილებულია პრეზიდენტსა და მინისტრთა საბჭოს (მთავრობას) შორის.

დემოკრატიის ინდექსის მიხედვით, პოლონეთი სრული დემოკრატიის რეჟიმის ქვეყანაა. პოლიტიკურ პარტიებს არ ექმნებათ არაპროპორციული შეზღუდვები რეგისტრაციისა ან ფუნქციონირებისათვის.⁸⁵

საარჩევნო სისტემა: ერთიანი პროპორციული საარჩევნო სისტემა (List PR).⁸⁶ **რიგითობის წესი:** ყოველ სამ კანდიდატში ერთი მაინც უნდა იყოს ქალი. **სანქცია:** ხარვეზის დადგენა, რეგისტრაციაზე უარი. **საარჩევნო კოდექსში კვოტის მოქმედების ვადა:** არ არის განსაზღვრული.

პოლონეთში 2011 წლიდან მოქმედებს **35%-იანი სავალდებულო გენდერული კვოტირება**. წესი ვრცელდება ქვედა პალატასა (სეიმი) და ადგილობრივ არჩევნებზე. ქვედა პალატაში როგორც ქალების, ისე კაცების რაოდენობა არ უნდა იყოს სიაში არსებულ კანდიდატთა 35%-ზე ნაკლები. სეიმში 459 წევრიდან 130 მანდატი (28%) ქალებს ეკუთვნით.⁸⁷

ბელგია კონსტიტუციური მონარქიის ქვეყანაა. სახელმწიფოს მეთაურია მეფე. საკანონმდებლო უფლებამოსილება აკისრია მეფეს, ორპალატიან პარლამენტთან ერთად, აღმასრულებელ ფუნქციას კი ასრულებს მთავრობა.

დემოკრატიის ინდექსის მიხედვით, ბელგია სრული დემოკრატიის ქვეყანაა. სახელმწიფოში სტაბილური დემოკრატია სუფევს, ძალაუფლების მშვიდობიანი გადაცემის ხანგრძლივი ისტორიით, და პოლიტიკური უფლებები და თავისუფლებები აღიარებული/გარანტირებულია კანონით.⁸⁸

საარჩევნო სისტემა: ერთიანი პროპორციული საარჩევნო სისტემა (List PR).⁸⁹ **რიგითობის წესი:** პირველი ორი კანდიდატი სიაში უნდა იყოს განსხვავებული სქესის. **სანქცია:** უარი რეგისტრაციაზე. **საარჩევნო კოდექსში კვოტის მოქმედების ვადა:** არ არის განსაზღვრული.

ბელგიაში 2002 წლიდან მოქმედებს **50%-იანი სავალდებულო გენდერული კვოტა**.⁹⁰ ეს მოთხოვნა ვრცელდება პარლამენტის ორივე პალატაზე, ასევე, ადგილობრივ არჩევნებზე. ბოლო 15 წლის განმავლობაში ბელგიამ ამ მიმართულებით ამბიციური რეფორმები გაატარა. 1999 წელს ტობაკ-სმეტის აქტით (Tobback - Smet Act), წარმომადგენელთა პალატაში ქალი წევრების პროპორცია პირველად 16%-დან 25%-მდე გაიზარდა. ამ დოკუმენტის მიხედვით, პოლიტიკური პარტიები ვალდებული იყვნენ, საკუთარი საარჩევნო სიების, სულ მცირე, 1/3 ქალი წევრებით დაეკომპლექტებინათ. 2007 წელს, უფრო მკაცრი გენდერული კვოტირების კანონმდებლობის იმპლემენტაციის შემდეგ, ქვედა პალატაში ქალთა მონაწილეობის მაჩვენებელმა 38%-ს მიაღწია. ახალი წესი ადგენს, რომ წარმომადგენელთა

83 პარტიული კვოტები (ნებაყოფლობითი) არის ვალდებულებები/წესები, რომლებსაც ცალკეული პოლიტიკური პარტიები გენდერული თანასწორობის მისაღწევად ადგენენ პარტიის წესდების, პარტიული პროგრამებისა და დამატებითი წესების მეშვეობით. შესაბამისად, პარტიული კვოტები შესასწავლია ინდივიდუალური პარტიების მიხედვით.

84 ევროპარლამენტი, საარჩევნო გენდერული კვოტები და მათი განხორციელება ევროპაში, 2013. ხელმისაწვდომია ბმულზე: [https://www.europarl.europa.eu/RegData/etudes/note/join/2013/493011/IPOL-FEMM_NT\(2013\)493011_EN.pdf](https://www.europarl.europa.eu/RegData/etudes/note/join/2013/493011/IPOL-FEMM_NT(2013)493011_EN.pdf)

85 Freedom House, პოლონეთი, 2022. ხელმისაწვდომია ბმულზე: <https://freedomhouse.org/country/poland/freedom-world/2022>

86 ევროპის საბჭო, პოლონეთი. ხელმისაწვდომია ბმულზე: <https://www.coe.int/en/web/electoral-assistance/elecdata-poland>

87 საერთაშორისო IDEA, გენდერული კვოტების მონაცემთა ბაზა, პოლონეთი. ხელმისაწვდომია ბმულზე: <https://www.idea.int/data-tools/data/gender-quotas/country-view/242/35>

88 Freedom House, ბელგია, 2021. ხელმისაწვდომია ბმულზე: <https://freedomhouse.org/country/belgium/freedom-world/2021>

89 ევროპის საბჭო, ბელგია. ხელმისაწვდომია ბმულზე: <https://www.coe.int/en/web/electoral-assistance/elecdata-belgium>

90 საერთაშორისო IDEA, გენდერული კვოტების მონაცემთა ბაზა, ბელგია. ხელმისაწვდომია ბმულზე: <https://www.idea.int/data-tools/data/gender-quotas/country-view/60/35>

პალატის (ქვედა პალატა) ერთიან სიაში ქალებისა და კაცების წარმომადგენლობა განისაზღვროს 50-50%-ით. შესაბამისად, ორი კანდიდატიდან ერთი უნდა მიეკუთვნებოდეს განსხვავებულ სქესს.⁹¹

შიდაპარტიული გენდერული კვოტა: დიდი ბრიტანეთი და შვედეთი

გაერთიანებული სამეფო (დიდი ბრიტანეთი) კონსტიტუციური მონარქიის ქვეყანაა, სადაც მონარქი სახელმწიფოს მეთაურია, პრემიერ-მინისტრი კი - მთავრობის. გაერთიანებული სამეფო მოიცავს ინგლისს, შოტლანდიასა და უელსს, ჩრდილოეთ ირლანდიის ტერიტორიასთან ერთად.

დემოკრატიის ინდექსის მიხედვით, გაერთიანებული სამეფო სრული და სტაბილური დემოკრატიის ქვეყანაა, რომელიც რეგულარულად ატარებს თავისუფალ არჩევნებს. პოლიტიკურ პარტიებს არ ექმნებათ არაპროპორციული შეზღუდვები რეგისტრაციისა ან ფუნქციონირებისათვის. პოლიტიკაში ათწლეულების განმავლობაში დომინირებენ კონსერვატიული და ლეიბორისტული პარტიები, თუმცა სხვა პარტიებიც რეგულარულად იგებენ მანდატებს. ოპოზიციური პარტიები მოქმედებენ თავისუფლად და აქვთ რეალური შესაძლებლობა, რომ გაზარდონ ამომრჩეველთა მხარდაჭერა.⁹²

საარჩევნო სისტემა: უბრალო უმრავლესობის საარჩევნო სისტემა (FPTT).⁹³

პოლიტიკური პარტიები: ლიბერალ-დემოკრატიული პარტია - 40%-იანი შიდაპარტიული გენდერული კვოტა (2018); ლეიბორისტული პარტია - საპარლამენტო მანდატთა 50%-იანი შიდაპარტიული გენდერული კვოტა.⁹⁴

გაერთიანებულ სამეფოს აქვს ორპალატიანი პარლამენტი, რომელიც იყენებს ნებაყოფლობით შიდაპარტიულ კვოტას. თემთა პალატაში 649 ადგილიდან 223 ქალებს (34%) ეკუთვნით, ხოლო ლორდთა პალატაში 776 წევრიდან 222 ქალია (29%).⁹⁵

შვედეთი კონსტიტუციური მონარქიის ქვეყანაა. სახელმწიფოს მეთაურია მეფე. ქვეყანას მართავს მთავრობა, პრემიერ-მინისტრის ხელმძღვანელობით, რომელსაც ირჩევს ერთპალატიანი პარლამენტი - რიქსდაგი.

დემოკრატიის ინდექსის მიხედვით, შვედეთი სრული დემოკრატიის ქვეყანაა, საპარლამენტო მონარქიით, თავისუფალი და სამართლიანი არჩევნებითა და ძლიერი, მრავალპარტიული სისტემით. ქვეყანაში პოლიტიკური უფლებები და თავისუფლება დაცულია როგორც კანონის დონეზე, ასევე პრაქტიკაში. პოლიტიკურ პარტიებში გაერთიანება და საქმიანობა არ არის შეზღუდული. შვედეთს აქვს ძლიერი მრავალპარტიული სისტემა, ძლიერი ოპოზიციით.⁹⁶

საარჩევნო სისტემა: პროპორციული საარჩევნო სისტემა (List PR).⁹⁷

პოლიტიკური პარტიები: სოციალ-დემოკრატიული პარტია - მონაცვლეობის (ე.წ. zipper) პრინციპი და შიდაპარტიული გენდერული კვოტა 1993 წლიდან მოქმედებს; მემარცხენე პარტია - მინიმუმ 50%-იანი შიდაპარტიული გენდერული კვოტა ქალებისთვის (1993); მწვანეთა პარტია - 50%-იანი შიდაპარტიული გენდერული კვოტა, პლუს/მინუს ერთი ადამიანი (1997); Moderaterna - ევროპარლამენტის არჩევნებისთვის პარტიული სიის პირველ ოთხ პოზიციაზე ორი ქალი და ორი კაცი (2009).⁹⁸

შვედეთში მოქმედებს ნებაყოფლობითი შიდაპარტიული კვოტა. პარლამენტში 349 ადგილიდან 161 მანდატი (46%) ქალებს ეკუთვნით.⁹⁹

91 იქვე.

92 Freedom House, გაერთიანებული სამეფო, 2022. ხელმისაწვდომია ბმულზე: <https://freedomhouse.org/country/united-kingdom/freedom-world/2022>

93 ევროპის საბჭო, გაერთიანებული სამეფო. ხელმისაწვდომია ბმულზე: <https://www.coe.int/en/web/electoral-assistance/elecdata-united-kingdom>

94 იქვე.

95 საერთაშორისო IDEA, გენდერული კვოტების მონაცემთა ბაზა, გაერთიანებული სამეფო. ხელმისაწვდომია ბმულზე: <https://www.idea.int/data-tools/data/gender-quotas/country-view/137/35>

96 Freedom House, შვედეთი, 2021. ხელმისაწვდომია ბმულზე: <https://freedomhouse.org/country/sweden/freedom-world/2021>

97 ევროპის საბჭო, შვედეთი. ხელმისაწვდომია ბმულზე: <https://www.coe.int/en/web/electoral-assistance/elecdata-sweden>

98 იქვე.

99 საერთაშორისო IDEA, გენდერული კვოტების მონაცემთა ბაზა, შვედეთი. ხელმისაწვდომია ბმულზე: <https://www.idea.int/data-tools/data/gender-quotas/country-view/261/35>

საერთაშორისო პრაქტიკის შესწავლამ აჩვენა, რომ განხილულ ქვეყნებში პოლიტიკაში ქალთა მონაწილეობა წლების¹⁰⁰ მიხედვით იზრდება.¹⁰¹ რიგ ქვეყნებში პოლიტიკური პარტიების შიდა დემოკრატია გამყარებულია ნებაყოფლობითი კვოტირების მექანიზმით. ეს ქვეყნები ხასიათდება ინსტიტუციურად ძლიერი პარტიული სისტემით. პოლიტიკური უფლებები და თავისუფლებები დაცულია კანონსა და პრაქტიკაში. პოლიტიკურ პარტიებში გაერთიანება და საქმიანობა არ იზღუდება, ხოლო იმ ქვეყნების კანონმდებლობაში, სადაც სავალდებულო კვოტა განსაზღვრულია დროებითი მექანიზმის სახით, კანონი მის მოქმედებას გარკვეული ვადით არ ზღუდავს.

100 ევროპარლამენტი, საარჩევნო გენდერული კვოტები და მათი განხორციელება ევროპაში, 2013. ხელმისაწვდომია ბმულზე: [https://www.europarl.europa.eu/RegData/etudes/note/join/2013/493011/IPOL-FEMM_NT\(2013\)493011_EN.pdf](https://www.europarl.europa.eu/RegData/etudes/note/join/2013/493011/IPOL-FEMM_NT(2013)493011_EN.pdf)

101 საერთაშორისო IDEA, გენდერული კვოტების მონაცემთა ბაზა. ხელმისაწვდომია ბმულზე: <https://www.idea.int/data-tools/data/gender-quotas/country>

IV. სავალდებულო გენდერული კვების გავლენა და შედეგები საქართველოში

4.1. სავალდებულო გენდერული კვების მიღება საქართველოში

საქართველოს მოსახლეობის ნახევარზე მეტი ქალია¹⁰², მაგრამ მათი წარმომადგენლობა გადამწყვეტილების მიმღებ პოზიციებზე საკმაოდ დაბალია - ქალები პარლამენტში მხოლოდ 19.1%-ს შეადგენენ.¹⁰³ აღმასრულებელ ხელისუფლებაში 13 მინისტრიდან (პრემიერ-მინისტრის ჩათვლით) ორი ქალია¹⁰⁴, 9 სახელმწიფო რწმუნებულს შორის არცერთი არ არის ქალი, ხოლო პირდაპირი წესით არჩეული 64 მერიდან მხოლოდ სამია ქალი.¹⁰⁵

2020 წლის საარჩევნო რეფორმის ფარგლებში, საქართველოს პარლამენტმა ქალთა პოლიტიკური მონაწილეობის გაზრდისთვის მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადადგა და სავალდებულო გენდერული კვოტა დაანესა.¹⁰⁶ 2002 წლიდან მოყოლებული, სავალდებულო კვოტის შემოღების რამდენიმე მცდელობა იყო. მათ შორის აღსანიშნავია ქალთა პოლიტიკური მონაწილეობის სამუშაო ჯგუფის მიერ შემუშავებული საკანონმდებლო წინადადება პარტიულ სიაში 50%-იანი სავალდებულო კვოტირების დანერგვის შესახებ (2015).¹⁰⁷ წარუმატებელი აღმოჩნდა ამავე წელს პარლამენტის ორი წევრის მიერ მომზადებული საკანონმდებლო ინიციატივაც, რომელიც შეეხებოდა პროპორციული სიის ყოველ მესამე პოზიციაზე განსხვავებული სქესის წარდგენას.¹⁰⁸ საქართველოს პარლამენტმა არც 2017 წელს დაუჭირა მხარი 37,455 ამომრჩევლის მიერ წარდგენილ კანონპროექტს, რომელიც ითვალისწინებდა სქესთა 50%-იანი ბალანსის დაცვას პროპორციულ სიებში.¹⁰⁹

საკანონმდებლო ცვლილების შემდეგ, პოლიტიკაში ქალთა რაოდენობა გაიზარდა, როგორც ეროვნულ, ისე ადგილობრივ დონეზე, და 2020 წლის მოწვევის პარლამენტში შეადგინა 19.1% (3%-ით გაიზარდა).¹¹⁰ 2016 წლის საპარლამენტო არჩევნების შედეგად, საპარლამენტო მანდატი მხოლოდ 24-მა ქალმა მოიპოვა - ანუ პარლამენტის სრული შემადგენლობის მხოლოდ 16%-მა.¹¹¹ აქვე უნდა აღინიშნოს, რომ საპარლამენტო არჩევნების შემდეგ, ეს მაჩვენებელი კიდევ უფრო შემცირდა, რაც გამოიწვია არჩეულ ქალ დეპუტატთა გადასვლამ მთავრობის შემადგენლობაში. შესაბამისად, პარლამენტში მხოლოდ 22 ქალი დარჩა (14.8%).¹¹² 1992 წლიდან დღემდე საქართველოს პარლამენტში ქალთა წარმომადგენლობა გამოსახულია დიაგრამაზე.¹¹³

102 მოსახლეობის საყოველთაო აღწერა, 2014. ხელმისაწვდომია ბმულზე: <https://www.geostat.ge/ka>

103 საპარლამენტო შორისო კავშირი (IPU), ქალები ეროვნულ პარლამენტში. ხელმისაწვდომია ბმულზე: <https://data.ipu.org/women-ranking?month=7&year=2022>

104 საქართველოს მთავრობა, მთავრობის წევრები. ხელმისაწვდომია ბმულზე: <https://www.gov.ge/gov-members>

105 გენდერული თანასწორობის მუდმივმოქმედი საპარლამენტო საბჭო, გენდერული თანასწორობა საქართველოში: ბარიერები და რეკომენდაციები, 2021. ხელმისაწვდომია ბმულზე: <https://bit.ly/3ppmIUl>

106 საქართველოს ორგანული კანონი მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ, 1997. ხელმისაწვდომია ბმულზე: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/28324?publication=37>

107 გენდერული თანასწორობის მუდმივმოქმედი საპარლამენტო საბჭო, გენდერული თანასწორობა საქართველოში: ბარიერები და რეკომენდაციები, 2018. ხელმისაწვდომია ბმულზე: <https://www.undp.org/ka/georgia/publications>

108 იქვე, გვ. 94.

109 სამართლიანი არჩევნები (ISFED), ქალთა პოლიტიკური წარმომადგენლობა და არსებული საკანონმდებლო ბარიერები, 2018. ხელმისაწვდომია ბმულზე: <https://www.isfed.ge/geo/angarishebi/kalta-politikuri-tsarmomadgenloba-da-arsebuli-sakanonmdeblo-barierebi>


110 გენდერული თანასწორობის მუდმივმოქმედი საპარლამენტო საბჭო, გენდერული თანასწორობა საქართველოში: ბარიერები და რეკომენდაციები, 2021. ხელმისაწვდომია ბმულზე: <https://bit.ly/3ppmIUl>

111 სამართლიანი არჩევნები (ISFED), ქალთა პოლიტიკური წარმომადგენლობა და არსებული საკანონმდებლო ბარიერები, 2018. ხელმისაწვდომია ბმულზე: <https://www.isfed.ge/geo/angarishebi/kalta-politikuri-tsarmomadgenloba-da-arsebuli-sakanonmdeblo-barierebi>

112 სამართლიანი არჩევნები (ISFED), რატომ არის საჭირო გენდერული კვოტები?, 2020. ხელმისაწვდომია ბმულზე: <https://www.isfed.ge/geo/politikis-dokumentebi/ratom-aris-sachiro-genderuli-kvotebi>

113 საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია (საია), ქალები ქართულ პოლიტიკაში, 2017. ხელმისაწვდომია ბმულზე: <https://bit.ly/3pcZMbF>

დიაგრამა 1: საქართველოს პაჩიამენტი - ქალთა პიოცენგული მაჩვენებელი




2021 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებისას, სავალდებულო გენდერულმა კვოტამ (პარტიულ სიაში ყოველ სამ კანდიდატს შორის, სულ მცირე, ერთი განსხვავებული სქესის წარმომადგენელი) ქალთა წარმომადგენლობის ზრდაზე მნიშვნელოვანი გავლენა იქონია. კერძოდ, 2021 წლის თვითმმართველობის არჩევნებისას, პროპორციული სიით 31.4% (441) ქალი შეირჩა, ხოლო მაჟორიტარული წესით - 7.6% (50) ქალი.¹¹⁴ ჯამში, ქალთა წარმომადგენლობა საკრებულოებში 24%-მდე გაიზარდა. 2017 წელს, ქალებმა პროპორციული საარჩევნო სისტემით მანდატთა მხოლოდ 19.8% მოიპოვეს, მაჟორიტარული წესით კი მათ 7.8% ერგოთ.¹¹⁵ სავალდებულო გენდერული კვოტის დადებითი შედეგი კიდევ უფრო ნათლად ჩანს, თუ გავაანალიზებთ 2010 და 2014 წლების ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების შედეგებს: 2010 წლის შედეგებით, ქალთა წარმომადგენლობამ მუნიციპალურ დონეზე 11.1% შეადგინა, ხოლო 2014 წლის არჩევნების შემდეგ ეს მონაცემები თითქმის არ შეცვლილა (11.6%).¹¹⁶

114 გენდერული თანასწორობის მუდმივმოქმედი საპარლამენტო საბჭო, გენდერული თანასწორობა საქართველოში: ბარიერები და რეკომენდაციები, 2021. ხელმისაწვდომია ბმულზე: <https://bit.ly/3ppmIU>

115 სამართლიანი არჩევნები (ISFED), ქალთა პოლიტიკური წარმომადგენლობა და არსებული საკანონმდებლო ბარიერები, 2018. ხელმისაწვდომია ბმულზე: <https://www.isfed.ge/geo/angarishebi/kalta-politikuri-tsarmomadgenloba-da-arsebuli-sakanonmdeblo-barierebi>

116 სამართლიანი არჩევნები (ISFED), რატომ არის საჭირო გენდერული კვოტები?, 2020. ხელმისაწვდომია ბმულზე: <https://www.isfed.ge/geo/politikis-dokumentebi/ratom-aris-sachiro-genderuli-kvotebi>

დიაგრამა 2: ადგილობრივი თვითმმართველობა - ქალთა პოლიტიკური მარჩვენები



მიუხედავად პროგრესისა, საქართველოს პარლამენტში ქალთა რაოდენობა მნიშვნელოვნად ჩამორჩება იმ კრიტიკულ მასას (30%-40%), რომელიც აუცილებელია გადაწყვეტილების მიღების პროცესზე გავლენის მოსახდენად.¹¹⁷ გადაწყვეტილების მიმღებ პოზიციებზე ცოტა ქალის არსებობა აისახება ქვეყნის პოზიციებზე საერთაშორისო ანგარიშებში: კერძოდ, ქალთა პოლიტიკური მონაწილეობის ინდიკატორის - პარლამენტში ქალთა წარმომადგენლობის მიხედვით, საქართველო 193 ქვეყანას შორის 121-ე ადგილს იკავებს.¹¹⁸ მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის 2021 წლის „გლობალური გენდერული ინდექსის ანგარიშის“ თანახმად, საქართველო, ქალთა პოლიტიკური გაძლიერების კუთხით, 155 ქვეყანას შორის მე-60 ადგილზეა.¹¹⁹

საკანონმდებლო ჩარჩოსა და საარჩევნო სისტემასთან ერთად, პოლიტიკაში ქალთა მონაწილეობის ზრდა დიდწილად დამოკიდებულია პოლიტიკურ პარტიებზე. მეტიც, მათი როლი გადამწყვეტია ქალთა პოლიტიკურ წარმომადგენლობაში, რადგან ზუსტად პარტიების ფუნქციაა კანდიდატთა მოძიება, დაინტერესება, ჩართვა და დანინაურება.¹²⁰ შესაბამისად, პარტია შეიძლება იყოს შემაფერხებელიც და ხელშემწყობიც ქალთა პოლიტიკური წარმომადგენლობის გაზრდაში. საქართველოს პოლიტიკური პარტიების ინსტიტუციური სისუსტე, შიდაპარტიული დემოკრატიის დაბალი ხარისხი და გენდერული თანასწორობისადმი ნაკლები მგრძობელობა პირდაპირ აისახება ქალთა ჩართულობაზე პოლიტიკაში.

4.2. შიდაპარტიული გენდერული პოლიტიკა

უკვე აღინიშნა, რომ დამოკიდებულებამ გენდერული თანასწორობისა და პოლიტიკაში ქალთა მონაწილეობისადმი პროგრესი განიცადა. ამას ადასტურებს ბოლო წლებში ჩატარებული არაერთი კვლევისა და ანგარიშის შედეგები. მაგალითად, 2020 წელს, გაეროს ერთობლივი პროგრამის („გენდერული თანასწორობისთვის“) ფარგლებში ჩატარდა კვლევა და მომზადდა ანგარიში, რომლის თანახმადაც, გამოკითხულთა 60% ფიქრობს, რომ მეტი ქალის ჩართულობა პოლიტიკაში დადებით შედეგს მოუტანს ქვეყანას.¹²¹ ამასთან, 2021 წელს ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტის (NDI)

117 გენდერული თანასწორობის მუდმივმოქმედი საპარლამენტო საბჭო, გენდერული თანასწორობა საქართველოში: ბარიერები და რეკომენდაციები, 2021. ხელმისაწვდომია ბმულზე: <https://bit.ly/3ppmIUl>

118 საპარლამენტთაშორისო კავშირი (IPU), ქალები ეროვნულ პარლამენტში, 2022. ხელმისაწვდომია ბმულზე: <https://data.ipu.org/women-ranking?month=7&year=2022>

119 მსოფლიო ეკონომიკური ფორუმი, გლობალური გენდერული სხვაობის ანგარიში, 2021. ხელმისაწვდომია ბმულზე: http://www3.weforum.org/docs/WEF_GGGR_2021.pdf

120 საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია (საია), ქალები ქართულ პოლიტიკაში, 2017. ხელმისაწვდომია ბმულზე: <https://bit.ly/3pcZMbF>

121 გაეროს ერთობლივი პროგრამა, კაცები, ქალები და გენდერული ურთიერთობები საქართველოში, 2020. ხელმისაწვდომია ბმულზე: https://promundoglobal.org/wp-content/uploads/2020/06/Men-Women-and-Gender-Relations-in-Georgia.GEO_.pdf

„საზოგადოების განწყობების კვლევის“ მიხედვით, მოსახლეობის, დაახლოებით, ნახევარი (49%) პარლამენტში ქალებისა და კაცების თანაბარ განაწილებას ემხრობა.¹²²

მიუხედავად დადებითი ცვლილებებისა, ხილული და უხილავი ბარიერები ქალებისთვის კვლავ დიდი გამოწვევაა როგორც შიდაპარტიულ, ისე საკანონმდებლო ორგანოებში. კვლევის ფარგლებში ჩატარებულ სიღრმისეულ ინტერვიუებში რესპონდენტთა უმრავლესობა (როგორც პარტიის ლიდერი კაცები, ისე წევრი ქალები) ამბობს, რომ პოლიტიკაში ქალთა მონაწილეობისადმი დამოკიდებულება მათ პარტიებში, ზოგადად, დადებითია; ისინი მიესალმებიან მეტი ქალის ჩართვას პოლიტიკაში, თუმცა არ გამორიცხავენ, რომ რეგიონულ ორგანიზაციებში განსხვავებული მდგომარეობა იყოს.

ქალები ნაკლებად არიან წარმოდგენილნი გადაწყვეტილების მიმღებ პოზიციებზე ქართულ პოლიტიკურ პარტიებშიც. კვლევაში მონაწილე პარტიებიდან გამონაკლისია „დროა,“ სადაც ქალები პროცენტულად ქარბობენ, როგორც გადაწყვეტილების მიმღებ პოზიციებზე, ისე სხვა დონეებზე. პარტია „დროას“ ლიდერი ამბობს, რომ „ეს ბუნებრივად მოხდა, ჩაც შესაძლოა ახადგაზიხდა ქალებისთვის ქარი დიდების ფაქტორითაც იყოს განპირობებული, მაგამ ვეი განვაზოგადებთ, ჩადგან ყველა წევრი პაჩიას პიოფესიული კუთხით შემოუეხთა.“

შიდაპარტიულ გენდერულ პოლიტიკასა და შესაბამის დოკუმენტებზე საუბრისას, რესპონდენტი პარტიები განიხილავენ პარტიის წესდებას, საარჩევნო პროგრამასა და გენდერული თანასწორობის გასაძლიერებლად შექმნილ დოკუმენტებს. პარტია „სტრატეგია აღმაშენებლის“ გარდა, არცერთ პარტიას არ აქვს განერილი და შესაბამისად დანერგილი შიდაპარტიული სექსუალური შევიწროების პოლიტიკის დოკუმენტი (პარტიას „ლელო საქართველოსთვის“ აქვს ჩანაწერი ამ საკითხზე ქალთა ორგანიზაციის სტრატეგიაში). რესპონდენტთა უმრავლესობა აღნიშნავს, რომ სექსუალური შევიწროების პოლიტიკაზე დებულების ან დოკუმენტის მიღებას „მიესაძმებიან და პაჩიებში ხედავენ სიჯივს ასეთი დისკუსიის დაწყებისთვის.“ შიდაპარტიულ გენდერულ პოლიტიკაზე საუბრისას, პარტიები ხაზს უსვამენ ქალთა ორგანიზაციის მნიშვნელობასაც და მის როლს ქალთა მოძიებასა და გადამზადებაში. ახლადშექმნილი პარტიებიც აღნიშნავენ, რომ შესაბამის ყურადღებას დაუთმობენ ამ საკითხს და მალე განსაზღვრავენ, თუ რა ფორმით ჩამოაყალიბებენ ქალთა ორგანიზაციებს.

კვლევაში მონაწილე პარტიებს არ აქვთ განერილი და დანერგილი წევრთა პროფესიული განვითარების შიდაპარტიული პოლიტიკა/სისტემა, თუმცა ხაზს უსვამენ ამის საჭიროებას. მათი თქმით, პოლიტიკურ პარტიებში პროფესიული განვითარება უკავშირდება წევრის საარჩევნო კანდიდატად დასახელებას და ამ მიმართულებით გადამზადებას. არცერთ რესპონდენტს არ უსაუბრია ქალ და კაც წევრებს შორის განსხვავებულ მიდგომებზე, რადგან ტრენინგები, სამუშაო შეხვედრები, სასწავლო ვიზიტები თუ კონფერენციები, რომლებშიც პარტიის წევრები მონაწილეობენ, ხშირ შემთხვევაში დონორი/პარტნიორი ორგანიზაციების მიერ არის ორგანიზებული. შესაბამისად, მათი თქმით, „ან თემაგიკიდან გამომდინაჲ ხდება კანდიდატების შეჩივვა, ან კი თავად ორგანიზატორები ასახელებენ მათ.“

კანონმდებლობით გათვალისწინებულ ფინანსური წახალისების მექანიზმზე საუბრისას, რესპონდენტთა ნაწილი ამბობს, რომ მიღებული ფინანსური რესურსის მხოლოდ ნაწილი ხმარდებოდა გენდერული თანასწორობის ზრდას პარტიის შიგნით, რასაც ქალთა ორგანიზაციების დაფუძნება და ამუშავება მოჰყვა. აქვე აღსანიშნავია, რომ ფინანსური წახალისების მექანიზმით დადგენილ დამატებით დაფინანსებაზე მხოლოდ ძველი პარტიების წარმომადგენლებმა ისაუბრეს, ახლად-შექმნილ პარტიებს ამ საკითხზე პოზიცია არ გაუზიარებიათ. ქალ რესპონდენტთა უმრავლესობა აღნიშნავს, რომ პარტიებში გენდერული თანასწორობის მიღწევისა და ქალთა ორგანიზაციის სრულფასოვნად ფუნქციონირებისთვის, აუცილებელი და გადამწყვეტია შესაბამისი ფინანსური რესურსის არსებობა.

4.3. სავალდებულო გენდერული კვოტა

სავალდებულო გენდერულ კვოტაზე საუბრისას, რესპონდენტი პოლიტიკური პარტიების უმრავლესობა აცხადებს, რომ მხარს უჭერენ გენდერული კვოტირების მექანიზმს. მეტიც, რამდენიმე რესპონდენტი აღნიშნავს, რომ 2021 წლის თვითმმართველობის არჩევნებისთვის „ბოლო წუთს

122 NDI, საზოგადოების განწყობა საქართველოში, 2021. ხელმისაწვდომია ბმულზე: https://www.ndi.org/sites/default/files/NDI%20Georgia_Public%20Opinion%20Poll_February%202021_GEO_Final.pdf

შეცვიდმა კანონპროექტმა და გენდერული კვოტის პროცენტულობის შემცირებამ“ დიდი უკმაყოფილება გამოიწვია მათში. რაც შეეხება არასაპარლამენტო და ახლადშექმნილ პარტიებს, მათ არ აქვთ გამოკვეთილი ოფიციალური პოზიცია ამ საკითხზე და აცხადებენ, რომ სხვა პარტიების მსგავსად, კვოტირების თემას ჰყავს მომხრეებიც და მოწინააღმდეგეებიც. მოწინააღმდეგეებს არგუმენტად მოჰყავთ გავრცელებული ნარატივი, რომ „გენდერული კვოტა აჩის პოზიტიური დისკრიმინაცია და, სათანადო უნარების შემთხვევაში, ქალებს არ უნდა სჭირდებოდეთ კვოტა.“ განსხვავებული აზრის მიუხედავად, რესპონდენტთა უმრავლესობა ამბობს, რომ გენდერული კვოტის მიმართ დამოკიდებულება თანაპარტიელებში, ზოგადად, დადებითისკენ შეიცვალა. მეტიც, რამდენიმე რესპონდენტი აღიარებს, რომ ან არ იყო სავალდებულო გენდერული კვოტის მომხრე, ან არ ჰქონდა ჩამოყალიბებული პოზიცია, მაგრამ „დაინახა აღნიშნული მექანიზმის აუცილებლობა და დადებითი შედეგიც.“ მათი თქმით, სავალდებულო გენდერული კვოტის მიღების შემდეგ, „ბევრი ახალი, კახგი და აქტიური ქალი გამოიკვეთა, ხომელიც ადგი მხოლოდ პატივითი საქმიანობით იყო დაკავებული.“ ერთ-ერთი პარტიის ლიდერის თქმით, „სავალდებულო გენდერულმა კვოტამ იმედი გააჩინა და სტიმული მისცა ქალებს.“

რამდენიმე პარტიის წარმომადგენელი ამბობს, რომ კანონით დაწესებული გენდერული კვოტის დაცვა მათთვის რთული აღმოჩნდა. რესპონდენტი პარტიის ლიდერები აღნიშნავენ, რომ მეტი დროისა და ენერჯის დახარჯვა დასჭირდათ ქალთა მოძიებასა და დარწმუნებაზე. ერთ-ერთი ახლადშექმნილი პარტიის ლიდერმა 2020 და 2021 წლების არჩევნების შედეგებისას აღნიშნა, რომ 2020 წლის საპარლამენტო არჩევნებზე გაუჭირდათ ქალ კანდიდატთა მოძიება და დარწმუნება, ხოლო 2021 წლის თვითმმართველობის არჩევნებისთვის ეს პროცესი ბევრად გამარტივდა. მისი აზრით, ამაში „დიდი ხოლი ითამაშა იმ ფაქტორმა, რომ პატივითი უკვე გვყავდა ქალი დიდები, ხომელიც ახალი ქალების მოძიებაში ჩაიხტებოდა იყვნენ და მათთვის მაგალითსაც წახმოადგენდნენ.“

რესპონდენტთა უმრავლესობას უჭირს სავალდებულო გენდერული კვოტირების მექანიზმის შედეგის სრულფასოვნად გაანალიზება, რადგან ამ ახალ ცვლილებაზე დაკვირვების დრო არ ჰქონიათ. მიუხედავად ამისა, ქალ რესპონდენტთა უმრავლესობას სჯერა, რომ „აღნიშნული ცვლილება დადებითად მოქმედებს პოლიტიკაში ქალების ჩაბრუნების ხედვასა და მათ პოლიტიკურად გააქტიურებაზე, ხაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ჩვეულებებისთვის.“

შედეგის მდგრადობისთვის, რამდენიმე რესპონდენტმა ისაუბრა იმაზეც, რომ საჭიროა კანონმდებლობაში სავალდებულო გენდერული კვოტის უფრო ხანგრძლივი დროით ასახვა.

4.4. წინასაარჩევნო პერიოდი, კანდიდატთა დასახელება და სიების ფორმირება

ქალები აქტიურ როლს ასრულებენ წინასაარჩევნო კამპანიისა თუ პარტიის მხარდამჭერთა მობილიზაციის პროცესში, მაგრამ ნაკლებად არიან წარმოდგენილნი პარტიებში გადამწყვეტილების მიმღებ პოზიციებზე.¹²³ ხშირად ამის მიზეზია პოლიტიკური პარტიების ინსტიტუციური სისუსტე, სიების ფორმირების ბუნდოვანი კრიტერიუმები და დანინაურების გაუმჭვირვალე მექანიზმები.

რესპონდენტთა უმრავლესობა ამბობს, რომ მათ პარტიებში საარჩევნო სია ერთპიროვნულად არ დგება და დამტკიცებამდე განიხილება პოლიტსაბჭოზე ან შესაბამის ორგანოებში, თუმცა „სიების ფორმირების პროცესს აკვია სიციხადე, გამჭვირვალობა და მკაფიო კომუნიკაციები.“ ახლადშექმნილ პარტიათა წარმომადგენლები ამბობენ, რომ საარჩევნო სიის ფორმირების წესი მათ შემთხვევაში არ იყო ფორმალური, რაც სამომავლოდ აუცილებლად უნდა დაიხვეწოს.

რაც შეეხება ქალ და კაც კანდიდატებს შორის რიგითობის განსაზღვრის წესს, სავალდებულო გენდერული კვოტის შემოღების შემდეგ, სიების ფორმირებისას, პარტიები კანონის მოთხოვნას მიჰყვნენ. კვლევაში მონაწილე რამდენიმე ქალი რესპონდენტი აღნიშნავს, რომ „პატივითი ქალების გადანიშნვა ფორმალურად და გეგმიურად ხდებოდა, ხათა კანონით დადგენილი მოთხოვნა დაეცვა.“ აღსანიშნავია, რომ 2021 წლის თვითმმართველობის არჩევნებისთვის, უმრავლეს შემთხვევაში ქალები იკავებდნენ მესამე, მეექვსე და მეცხრე პოზიციებს. იყო გამონაკლისებიც, როდესაც ეს პრინციპი არ იყო დაცული და პარტიული სიის პირველი ნომერი იყო ქალი და/ან საარჩევნო სიაში იმაზე მეტი ქალი იყო წარმოდგენილი, ვიდრე კანონმდებლობა ითხოვს.

123 სამართლიანი არჩევნების (ISFED), რატომ არის საჭირო გენდერული კვოტები?, 2020. ხელმისაწვდომია ბმულზე: <https://www.isfed.ge/geo/politikis-dokumentebi/ratom-aris-sachiro-genderuli-kvotebi>

რესპონდენტთა უმრავლესობამ ისაუბრა კანდიდატების შერჩევის ზოგად კრიტერიუმებზე. ესენია: გამოცდილება, ცნობადობა, ამომრჩეველთან კავშირი და პარტიული საქმიანობა. რამდენიმე რესპონდენტმა ისაუბრა ზოგადი უნარების, ელექტორალური მიმღებლობისა და ფინანსური რესურსების შესახებაც. ახლადშექმნილი პარტიები ხაზს უსვამენ, რომ კანდიდატის შერჩევისას მათთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია საერთო ფასეულობები/ღირებულებები, მოტივაცია (თუ რა მოტივაციით უერთდება კანდიდატი პარტიას), კეთილსინდისიერება და ცნობადობა.

რესპონდენტი პარტიის ლიდერთა და ქალ კანდიდატთა თქმით, 2021 და 2020 წლების არჩევნებზე ქალი და კაცი კანდიდატების მხარდაჭერაში პარტია თანაბრად იყო ჩართული (ფინანსური თუ ადამიანური რესურსებისა და სამართლებრივი კუთხით). მათი თქმით, „*ხოგოც წესი, პოლიტიკუხი პაჩიებს სგანდაჩგუდად აქვთ ასეთი ხესუხის ყვედა კანდიდატისთვის გამოყოფიდი და სქესს ყუხად-ლება ახ ექცევა.*“ ერთი-ერთი ქალი რესპონდენტი აღნიშნავს, რომ „*პაჩია ამ მხივ ყვედას თანაბხად ებმაჩება. უბხადო, კაცები საკუთაჩი ხესუხებით უფხო ჩანან და დამატებით ხესუხსაც მაჩვივად იზიდავენ.*“

კითხვაზე - „*თქვენი გადასაწყვეტი ხომ იყოს, თანაბაჩი უნაჩების, შესაძლებლობების, განათლებისა და ფინანსების შემთხვევაში, ვის დაასახელებდით კანდიდატად, ქალს თუ კაცს? რატომ?*“ - პარტიის ლიდერთა უმრავლესობა ქალს ასახელებს. მიზეზად მოჰყავთ არსებული გენდერული უთანასწორობა, პოლიტიკაში მეტი ქალის ჩართვის საჭიროება, ქალისთვის დამახასიათებელი თვისებები და ქალური სოლიდარობა (ქალი რესპონდენტები). თუმცა, რამდენიმე რესპონდენტი ამბობს, რომ „*უჭიხს სქესის მიხედვით კანდიდატის აჩივა და დამატებითი გაჩემოებების მიხედვით მიიღებდა საბოლოო გადაწყვეტილებას.*“

4.5. ქალი კანდიდატები/პოლიტიკოსები

ქალებისთვის მნიშვნელოვან დაბრკოლებად რჩება კულტურული სტერეოტიპები, საზოგადოების დამოკიდებულება და წინასწარი განწყობები გენდერული როლების შესახებ.¹²⁴ კულტურული დამოკიდებულება უარყოფითად აისახება პოლიტიკაში ქალთა მონაწილეობაზე, თუ ეფუძნება გენდერულად უთანასწორო ფასეულობებს, რომლებიც ემსახურება კაცების დომინანტი როლის შენარჩუნებას.¹²⁵ სამწუხაროდ, ასეთი ფაქტორები ხელს უშლის ქალთა აქტიურ ჩართვას პოლიტიკაში და ხშირად მათ მიმართ ძალადობრივ ქცევაშიც ვლინდება.¹²⁶

კვლევაში მონაწილე ქალ კანდიდატთა უმრავლესობა აღნიშნავს, რომ საჯაროობა დიდ გავლენას ახდენს როგორც მათზე, ისე პოტენციურ კანდიდატებზე. რესპონდენტები საუბრობენ განსხვავებული ტიპისა და შინაარსის კრიტიკაზე (ასაკი, პირადი ცხოვრება და გარეგნობა), რომელიც ქალ კანდიდატთა მიმართ ვლინდება. რამდენიმე ქალი რესპონდენტი ამბობს, რომ „*ქალებისთვის სააჩივრო კამპანია ძადიან ემოციუჩია, მათ შოჩის, ძადადობჩივი გაჩემოს გამო, ამიგომ ქალებს შესაძლოა მეტი მხაჩდაჭეხა სჭიხებოდეთ.*“ მეტიც, ქალ რესპონდენტთა უმრავლესობა ამბობს, რომ „*აქტიუხი პოლიტიკაში ჩაჩთვა დიდ ცვდილებებს უკავშირდება და ხშირ შემთხვევაში ეს აჩც შესაბამისად დაფასებუდი/შემჩნეუდი (ხოგოც პაჩიაში, ისე საზოგადოებაში) და აჩც ფინანსუჩად ანაზღაუხებუდი.*“ თითქმის ყველა ქალი რესპონდენტი აღნიშნავს, რომ ისინი უფრო დაკვირვებულები არიან და, გარკვეულწილად, მათი თვითცენზურაც შეიცვალა.

ქალ რესპონდენტთა უმრავლესობა ამბობს, რომ ამომრჩეველებს განსხვავებული მიდგომა ჰქონდათ ქალ და კაც კანდიდატებთან მიმართებით. მათი თქმით, კაცი ამომრჩეველი თითქმის არ უზიარებს საჭიროებებს ქალ კანდიდატებს და საარჩევნო შეხვედრებსაც ნაკლებად ესწრება, ხოლო კაცი კანდიდატების წინაშე მეტი პატივისცემით, რიდით და მოწინებით იქცევა. ერთ-ერთი ქალი რესპონდენტი ამის შესაძლო მიზეზად ასახელებს იმას, რომ „*ამომჩივდეები კაც კანდიდატებს საქმის გამკეთებდად და პხობდემის მომგვაჩებდად აღიქვამენ.*“ აღსანიშნავია, რომ თავად ქალ კანდიდატთა უმრავლესობას არ ჰქონია განსხვავებული მიდგომა ამომრჩეველთან კომუნიკაციისას

124 ევროპის საბჭო, რეგიონული კვლევა პოლიტიკაში ქალთა წარმომადგენლობის შესახებ აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებში, 2017. ხელმისაწვდომია ბმულზე: <https://rm.coe.int/regional-study-on-women-s-political-representation-in-the-eastern-part/16807433e9>

125 სამართლიანი არჩევნები (ISFED), რატომ არის საჭირო გენდერული ვოტები?, 2020. ხელმისაწვდომია ბმულზე: <https://www.isfed.ge/geo/politikis-dokumentebi/ratom-aris-sachiro-genderuli-kvotebi>

126 საფარი, ქალები პარტიებში, 2017. ხელმისაწვდომია ბმულზე: <https://sapari.ge/wp-content/uploads/2017/06/safari.pdf>

და მათი წინასაარჩევნო შეხვედრების თემატიკა მორგებული იყო ადგილობრივი მოსახლეობის საჭიროებებსა და/თუ რეგიონის სპეციფიკაზე. თუმცა ერთ-ერთი რესპონდენტის თქმით, მას „ქად ამომჩივედთან უხითიხითობა უფხო უადვიდებოდა, ხადგან მათ პიობდემებსა და საჭიხოებებთან ახდენდა თვითასოციხებას.“

ქალ კანდიდატთა უმრავლესობა იხსენებს ძალადობის (ფიზიკური, ფსიქოლოგიური, ეკონომიკური, სექსუალური) შემთხვევებს და ამბობს, რომ ხშირად ეს კონკურენტი პარტიის კაცებისგან ვლინდება. რესპონდენტები ამბობენ, რომ სამწუხაროდ, ქალებს ცოტა მექანიზმი აქვთ ასეთ შემთხვევებთან ეფექტიანად გასამკლავებლად. მათი თქმით, მნიშვნელოვანია, პარტიისა და მისი ლიდერის ქმედითი თანადგომა. რამდენიმე რესპონდენტი საუბრობს ოჯახის თანადგომის მნიშვნელობაზეც, რაც რეგიონებში გადამწყვეტია ხოლმე. ქალმა კანდიდატებმა რამდენიმე მექანიზმი დაასახელეს, რომლებიც სამომავლოდ შეიძლება დაეხმაროს ამ პრობლემის მოგვარებას: შიდაპარტიული მექანიზმების დანერგვა; გამოცდილი ქალ პოლიტიკოსთა მიერ თავიანთი გამოცდილების გაზიარება; არსებული საკანონმდებლო ჩარჩოსა და უფლებების კარგად ცოდნა; გენდერული თანასწორობის საბჭოების (პარლამენტი და საკრებულოები) როლის უკეთ გამოკვეთა და გააქტიურება.

4.6. არჩევნების შემდეგი პერიოდი

რესპონდენტი პარტიის ლიდერთა უმრავლესობა ამბობს, რომ არჩევნების შემდეგ, საკანონმდებლო და წარმომადგენლობით ორგანოებში (საქართველოს პარლამენტი, საკრებულოები) თანამდებობები ნაწილდება გამოცდილების, კომპეტენციისა და შესაბამისი უნარების საფუძველზე. მათი თქმით, სქესს მნიშვნელობა არ ექცევა, თუმცა განსხვავებული მდგომარეობაა რეგიონებში, სადაც ეს პრობლემა მწვავედ დგას. აღნიშნულ საკითხზე მსჯელობისას, კვლევაში მონაწილე პარტიის ქალი წევრების თქმით, „ქადებს ადგიდობივ დონებზე საპასუხისმგებდო თანამდებობები თითქმის ახ ხვდებათ და უმეტესწიდად ასეთ თანამდებობებს კაცები იკავებენ.“ კონკრეტულ მიზეზებს კი არ ასახელებენ.

არჩევნების შემდგომ პერიოდზე საუბრისას, პოლიტიკური პარტიის ლიდერები აღნიშნავენ, რომ პარტიები აგრძელებენ ყოველდღიურ საქმიანობას, მაგრამ ზოგიერთი წევრისთვის მათი ფუნქცია და როლი ბუნდოვანი ხდება. მათი თქმით, „აჩრევნების დასხუდებას ბუნებხივად ახდავს წევხების გადინება,“ თუმცა ამ საკითხის გენდერულ ქრილში გაანალიზება უჭირთ. ერთ-ერთი ქალი რესპონდენტი ამბობს, რომ „შესადდოა ქადები ნაკდებად გოვებდნენ პახგიებს, მათი დოიადუხი ბუნებიდან გამომდინახე. ასეთი შეჭამების საშუადებას მას ის ფაქტიც აძლევს, ხომ პახგიუცხოვხებაში უფხო მეგი ქადია ჩახთუდი, ვიდე კაცი.“ სიღრმისეული ინტერვიუების დროს ასევე ითქვა, რომ 2021 წლის თვითმმართველობის არჩევნების შემდეგ უფრო მეტი ადამიანის გადინება აღინიშნა, ვიდრე 2020 წლის საპარლამენტო არჩევნების შემდეგ, რაც „შესადდოა, ქვეყანაში ახსებუდმა პოდიგიკუხმა გახემომ და ვადამდედი აჩრევნების ახდანიშვნამაც გამოიწვია.“ ამ თვალსაზრისით, განსხვავებული ვითარებაა ახლადშექმნილ პარტიებში, რადგან ისინი ზრდის ეტაპზე არიან და წევრთა გადინების ტენდენცია ჯერ არ შეიმჩნევა.

რესპონდენტთა უმრავლესობა მიიჩნევს, რომ პოლიტიკურმა პარტიებმა უკეთ უნდა დაგეგმონ არჩევნებს შორის პერიოდი და ნათლად განერონ საქმიანობები, რათა წევრებმა მკაფიოდ დაინახონ საკუთარი როლი და ფუნქცია. ეს შეამცირებს წევრების გადინებასაც.

შეჯამება

კვლევამ „სავალდებულო გენდერული კვოტა საქართველოში: 2020 და 2021 წლების არჩევნების გამოცდილება“ გაანალიზა საქართველოში სავალდებულო გენდერული კვოტის მექანიზმი და მისი პრაქტიკაში აღსრულება 2020 წლის საპარლამენტო და 2021 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების მაგალითზე.

არსებული გამოწვევების მიუხედავად, პოლიტიკაში ქალთა მონაწილეობის გასაძლიერებლად სახელმწიფოს მიერ გატარებულ ღონისძიებებს შორის ყველაზე მნიშვნელოვანი და ეფექტიანია სავალდებულო გენდერული კვოტის მიღება. სავალდებულო გენდერული კვოტირების მექანიზმის მიღების პროცესში აქტიურად იყო ჩართული სამოქალაქო საზოგადოებაც, მათ შორის, არასამთავრობო და სათემო ორგანიზაციები.

თანამშრომლობის დადებით გამოცდილებაზე დაყრდნობით, მნიშვნელოვანია, გაგრძელდეს ერთობლივი მუშაობა საქართველოში გენდერული თანასწორობის გასაძლიერებლად. ამ პროცესში გადამწყვეტია ქალთა პოლიტიკური გაძლიერება, რათა მათ შეძლონ თანაბარი მონაწილეობა ქვეყნის ეკონომიკურ, სოციალურ და პოლიტიკურ ცხოვრებაში. თავის მხრივ, ეს საფუძველია ყველა სფეროში არსებითი გენდერული თანასწორობის პოლიტიკის გასატარებლად.